პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 160 (9628) | ხუთშაბათი, 9 ივლისი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

მომხმარებელთა კულტურული მომსახურება ვაჭრობის მუშაკთა ღირსების საქმეა — **მოწინავე** (1-ლი გვერდი).
ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).
სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (1-ლი გვერდი).
საწარმოებსა და საკოლმეურნეო სოფლებში (1-ლი გვერდი).
პარტიულ თემაზე. — **ა. სილაგაძე.** — პარტიული ბიურო და პროფკავშირული ორგანიზაცია (მე-2 გვერდი).
მოსავლის ვადაზე და უდანაკარგოდ აღებისათვის! — **ხ. ქოჩლაძე.** — გულმემატკივარნი და უდარდელნი. **ვ. ხოფერია.** — ნაკლოვანებანი სწრაფად უნდა გამოსწორდეს (მე-2 გვერდი).
მოძმე რესპუბლიკებში (მე-2 გვერდი).
წულუკიძე (მე-2 გვერდი).
წერილები რედაქციას. — **ფ. დემეტრაშვილი.** — ინჟინერ ნ. გაგოშიძის სისტემის [illegible]
საერთაშორისო თემაზე. — **კ. ჯოხიძე.** — ინგლისის ახალი დომინიონი ვესტ-ინდოეთში (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-3 და მე-4 გვერდი).
თბილისი (მე-4 გვერდი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომხმარებელთა კულტურული მომსახურება ვაჭრობის მუშაკთა ღირსების საქმეა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა დაუღალავად ზრუნავენ ჩვენი ქვეყნის მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის, ყველა საბჭოთა ადამიანის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ჩვენი პარტიისა და მთავრობისათვის კანონია — შეუნელებლად ზრუნავდნენ ხალხის მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილებისათვის.

მძლავრად ჩქეფს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრება. მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოები უხვად უშვებენ საქონელს და პროდუქტებს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობისათვის. საბჭოთა ქვეყანა დაფარულია სავაჭრო ბაზების, მაღაზიების, ფარდულების უხვი ქსელით, რომელთა საშუალებითაც წარმოებს საქონლის ცირკულაცია წარმოების ადგილებიდან მომხმარებლამდე. ამ საქმეში ჩაბმულია სახელმწიფო სავაჭრო ქსელიც, კოოპერაციული სავაჭრო ქსელიც, ადგილობრივი მრეწველობაც, კოლმეურნეობებიც.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია: მასობრივი მოხმარების საქონლის წარმოების გადიდება სულ მცირე 70 პროცენტით; სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის გადიდება დაახლოებით 70 პროცენტით 1950 წელთან შედარებით.

საბჭოთა ვაჭრობის მუშაკების წინაშე დასახულია ახალი უმნიშვნელოვანესი ამოცანები — შემდგომ გაფართოონ ვაჭრობა, აამაღლონ მომხმარებელთა მომსახურების კულტურა. მათი მოვალეობაა შეუპოვრად იბრძოლონ მასობრივი მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდებისათვის, ასორტიმენტისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ამ საქმეში გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს მრეწველობისადმი საავაჭრო ორგანიზაციების წინასწარი დაკვეთების სისტემის შემდგომმა განვითარებამ, რამაც საკუთარ გამამართლა თავისი დანიშნულება.

როგორც ფაქტები ცხადყოფენ, ჩვენი რესპუბლიკის საავაჭრო ორგანიზაციების ბევრმა ხელმძღვანელმა დაიწყო ის გარემოება, რომ ფართო მოხმარების საქონლის მასის გადიდებამ გაზარდა მოსახლეობის მომთხოვნელობა მისი ხარისხისა და ასორტიმენტისადმი. ზოგიერთს დავიწყებული აქვს ისიც, რომ წინათ, როცა საქონელი ცოტა იყო, ხშირად საქონელს ყიდულობდნენ არც თუ ისე არჩევით. ახლა კი მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. მრეწველობისა და საავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა თავი უნდა დაალწიონ ძველებურად მუშაობას. მათი უპირველესი მოვალეობაა სისტემატურად შეისწავლონ მოსახლეობის მოთხოვნილება, აღვეთონ საქონლის განურჩევლად შეტანის დრომოჭმული პრაქტიკა, საავაჭრო ქსელში საქონლის შეტანისას გაითვალისწინონ საჭირო მრავალფეროვნება, ისე რომ მომხმარებელს თავისუფლად შეეძლოს თავისი გემოვნებით შერჩეული ასორტიმენტის საქონლის შეძენა.

პარტიის XIX ყრილობამ გადაუდებელ ამოცანად დაგვისახა: მოკლე ვადაში აღმოვფხვრათ არსებული ნაკლოვანებანი და საბჭოთა ვაჭრობა ავიყვანოთ ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე. ეს კი მოითხოვს ავამაღლოთ ვაჭრობის მუშაკთა კულტურა, აღვზარდოთ ისინი ისე, რომ იცოდნენ მოსახლეობის მოთხოვნილება, შეეძლოთ შესთავაზონ მყიდველს საჭირო საქონელი, განუხრელად განახორციელონ საბჭოთა კულტურული ვაჭრობის წესები. უნდა გვახსოვდეს, რომ ლენინის ლოზუნგი — ვისწავლოთ ვაჭრობა — ახლაც ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას ვაჭრობის მუშაკებისათვის, და ისინი მოვალენი არიან ყოველდღიურად იმაღლებდნენ კვალიფიკაციას.

სამწუხაროდ, არის მრავალი ისეთი ფაქტი, რომელიც საავაჭრო ორგანიზაციის ბევრ ხელმძღვანელს ჩრდილს აყენებს. თბილისის, ჭუთაისის, ბათუმის, სუხუმის, რუსთავის და რესპუბლიკის მთელი რიგი სხვა ქალაქებისა და რაიონების საავაჭრო ქსელში კვლავ გრძელდება დაბლის ზოგიერთი მუშაკის მიერ მომხმარებლებისადმი უდიერი დამოკიდებულება, მათი წონა-ზომაში მოტყუება.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს მიერ ამას წინათ ჩატარებული შემოწმების დროს დადასტურდა, რომ თბილისურვაჭრობის № 188 მაღაზიის გამყიდველმა გ. ფოდერძიშვილმა ორი კილოგრამი პურის გაცემისას მომხმარებელს 70 გრამი დააკლო. როგორც გამოირკვა, ამავე მაღაზიის გამგე მ. ბურკაძე გამყიდველებს ხელს უწყობდა ვაჭრობის წესების დარღვევაში. მარჯვენა ნაპირის თბილკვებვაჭრობის № 49 მაღაზიის გამყიდველმა ა. ნატროშვილმა ხურდის მიცემისას მომხმარებელს ერთი მანეთი და 23 კაპიკი დააკლო.

რუსთავვაჭრობის № 8 მაღაზიის გამყიდველმა ვ. ოდიშვილმა იმდენად აიშვა თავი, რომ 2,9 კილოგრამი პურის გაცემისას მომხმარებელს 250 გრამი პური დააკლო. ასევე უდიერად მოექცა მომხმარებელს რუსთავვაჭრობის № 31 მაღაზიის გამყიდველი ა. გოგია, რომელმაც 3,1 კილოგრამი პურის გაცემისას მყიდველს 250 გრამი დააკლო. ა. გოგიას ყალთაბანდობაში მფარველობას უწევდა მაღაზიის გამგე მ. მოროზოვა. საერთოდ რუსთავვაჭრობის ქსელში მომხმარებელთა წონა-ზომაში მოტყუება ერთეული შემთხვევა როდია! ეს იმიტომ ხდება, რომ რუსთავვაჭრობის დირექტორი ვ. დიდმამიშვილი არ დგას მოწოდების სიმაღლეზე, რომ იგი სუსტ კონტროლს უწევს საავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ქსელის მუშაობას, ზერელედ ეკიდება კადრების შერჩევას. განა ცხადი არ არის, რომ ასეთ ვითარებაში საავაჭრო ქსელში წესრიგი ვერ დამყარდება?

საბჭოთა ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუშაკები დაყენებული არიან კომუნისტური მშენებლობის მნიშვნელოვან უბანზე. მაგრამ აქა-იქ საავაჭრო ორგანიზაციები იკიწყებენ კადრების შერჩევის ჩვენს პარტიულ, საბჭოთა პრინციპს, საავაჭრო ქსელში სამუშაოდ იღებენ შემთხვევით ადამიანებს, რომლებიც სხვის ხარჯზე ცხოვრებას არიან მიჩვეულნი.

პარტიის რაიკომები და ქალაქკომები მოვალენი არიან გადაჭრით გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა საავაჭრო დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი. საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ აღნიშნული ორგანიზაციები საკუთარ ახორციელებდნენ პარტიის წესდებით მათთვის მინიჭებულ უფლებას — ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლებას, რათა მათი ყურადღების ცენტრში იყოს კადრების აღზრდა, ადამიანებთან მუშაობა.

რაც უკეთ იქნება დაყენებული პარტიული მუშაობა, რაც უფრო მაღალი იქნება კომუნისტების აქტივობა, რაც უფრო გაბედულად გამოიყენებენ ისინი კრიტიკისა და თვითკრიტიკის იარაღს ნაკლოვანებებთან ბრძოლაში, — მით უფრო ძლიერი და ქმედითი იქნება პირველადი პარტიული ორგანიზაციების გავლენა საბჭოთა ვაჭრობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში.

ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა ხელმძღვანელ მუშაკებს მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ „საბჭოთა ვაჭრობა ჩვენი, საკუთარი, ბოლშევიკური საქმეა, ხოლო ვაჭრობის მუშაკები, მათ შორის დაბლის მუშაკები, თუ ისინი პატიოსნად მუშაობენ, — ჩვენი, რევოლუციური, ბოლშევიკური საქმის გამტარებლები არიან“ (ი. სტალინი). ამიტომ, საავაჭრო ორგანიზაციების საქმიანობის გაუმჯობესებისადმი მუდმივი ყურადღება უნდა გადაიქცეს ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების ყოველდღიურ საზრუნავ საქმედ.

მომხმარებელთა კულტურული მომსახურება ვაჭრობის მუშაკთა ღირსების საქმეა. იყვნენ ამ მოწოდების სიმაღლეზე — ასეთია მათი გადაუდებელი ამოცანა.

ჩაის კრეფა საბჭოთა მეურნეობებში

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს ჩაის საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველოს ცნობებით, 6 ივლისისათვის საბჭოთა მეურნეობების ხაზით ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა შესრულებული იყო 44,2 პროცენტით, ივლისისა წინა თვეების დანაკლისით — 10,6 პროცენტით. ცალკე საბჭოთა მეურნეობებს შორის კრეფის მიმდინარეობა შემდეგ სურათს იძლევა: გორნიოს საბჭოთა მეურნეობას ჩაის კრეფის ივლისის გეგმა წინა თვეების დანაკლისით შესრულებული ჰქონდა 25 პროცენტით, სალიბაურის — 12,3, ჩაქვის — 14,1, ოჩხამურის — 10, ცეცხლიურის — 8, აჩიგვარის — 7,5, სიდის — 15,1, მოქვის — 10,2, ლაითურის — 8,4, ნარეჯის — 10, ნასაკირალის — 4,2, წულუკიძის — 13, დიდი ჟყონის — 6,3, ლესიჭინის — 11,5, ინგირის — 13,3, ნარაზენის — 22,8, ხეცერის — 7,8, წალენჯიხის — 8,3, ხიბულის — 23,5 და გეჯეთისას კი — 25 პროცენტით.

ჩვენს დიად სამშობლოში

★ ★ ★

მეგალიერგთა შრომის დაცვა

მეტალურგიული მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში ფართოდ იყენებენ დანადგარებს, რომლებიც აწესრიგებენ ჰაერის ტემპერატურას საწარმოო შენობებში. ამ დანადგარებით შექმნილი წყლის უმცირესი ნაწილაკების ფარდა მუშას იცავს სიცხისა და მტვრისაგან. მიკროკლიმატის ასობით ასეთი დანადგარი წარმატებით მოქმედებს ახლა ძერჟინსკის (დნეპროძერჟინსკი) სახელობის ქარხანაში, „ზაპოროჟსტალში“, პეტროვსკის სახელობის, სეროვის სახელობისა და სხვა ქარხნებში. მადნის შახტებში ისინი ლექავენ მტვერს.

მეტალურგიული მრეწველობის მუშათა უსაშიშრობისა და შრომის დაცვის ტექნიკის გაუმჯობესებაზე წელს დაიხარჯება 253 მილიონ მანეთზე მეტი. (საკდესი).

ვ. გ. კოროლენკოსადმი მიძღვნილი გამოფენა

ხარკოვი. (საკდესი). 3 ივლისს სახელმწიფო სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, რომელიც ვ. გ. კოროლენკოს სახელს ატარებს, გაიხსნა მისი დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა.

გამოფენაზე წარმოდგენილია ჟურნალების „რუსსკაია მისლის“ და „რუსსკოე ბოგატსტვოს“ ეგზემპლარები, რომლებშიც დაბეჭდილი იყო კოროლენკოს ნაწარმოებნი. გამოფენის მნახველთა ყურადღებას იპყრობს თემატიკური სტენდები: „კოროლენკო სამშობლოსა და ხალხის შესახებ“, „მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწენი კოროლენკოს შესახებ“, „კოროლენკო ამერიკის შესახებ“.

მოსკოვის მანქანათმშენებლები ზოგავენ ლითონს

მოსკოვის მანქანათმშენებელ საწარმოებში გაჩაღდა შეჯიბრება ლითონის მომჭირნეობით ხარჯვისათვის.

კაგანოვიჩის სახელობის 1-ლ საკისართა ქარხანაში შემუშავებულია ლითონის ეკონომიის ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გეგმა. საწარმოში წარმატებით იყენებენ ლითონის ნარჩენებს. ფოლადის ხარჯი საკისართა დამზადების დროს შემცირებულია 13-19 პროცენტით. მოძრაობამ ლითონის ეკონომიისათვის მასობრივი ხასიათი მიიღო. წლის დასაწყისიდან უკვე დაზოგილია 300 ტონაზე მეტი ლითონი.

სტალინის სახელობის საავტომობილო ქარხანაში ლითონის ეკონომიის თიოქმის 170 კომპლექსური ბრიგადაა. მათს მუშაობაში მონაწილეობას იღებს 1.100 კაცი — კონსტრუქტორები, ტექნოლოგები, წარმოების მოწინავეები. ქარხანაში განხორციელებულ ტექნიკურ ღონისძიებათა შედეგად მნიშვნელოვნად მცირდება ლითონის ხარჯვა „ზის-150“ და „ზის-151“ მარკების ავტომანქანებზე.

200 ტონაზე მეტი თუჯი დაზოგა კალინინის სახელობის ქარხანამ. აქ იყენებენ თხელკედლიან სხმულს, მცირდება ნამეტის ნორმები დეტალების მექანიკური დამუშავების დროს. დიდ წარმატებებს მიაღწიეს მასალების ეკონომიის საქმეში ეფრემოვის სახელობის ქარხანამ „კრასნი პროლეტარმა“ „კომპრესორმა“ და სხვა საწარმოებმა.

ლითონის მომჭირნეობით ხარჯვის საკითხებს მიეძღვნა 6 ივლისს სტალინის სახელობის მოსკოვის საავტომობილო ქარხნის კულტურის სახალხლში გამართული დიდაქალაქის მანქანათმშენებელთა თათბირი, რომელიც მოიწვიეს სსრ კავშირის მანქანათმშენებლობის სამინისტრომ და პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა.

(საკდესი).



ხარკოვი. მანქანათმშენებელ ქარხანა „კრასნი ოქტიაბრში“ შექმნეს ახალი მოდერნიზებული ვაკუუმ-წნეხი სმ-443. წნეხის დანიშნულებაა პლასტიკური დაწნეხვის მეთოდით თიხის მასისაგან დაამზადოს აგური და კერამიკული ბლოკები. ამ მანქანის წარმადობა საათში 4.000-5.500 ცალია აგურზე გადაანგარიშებით. ამას წინათ ასეთი მანქანების პირველი პარტია გაეგზავნათ ურალის, მოსკოვის ოლქის, უკრაინისა და კავკასიის საწარმოებს.

სურათზე: ამწყობი-ზეინკალი ა. ს. დეეურკო (მარცხნივ), რომელიც ნორმას 200 პროცენტით ასრულებს, და ამწყობი საამქროს ოსტატი ნ. ა. გორბანი ახალი მანქანის დამონტაჟებაზე.

ფოტო მ. ნაჩინკინისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

„კუიბიშევჰიდროშენის“ მისამართით

დაბა კომსომოლსკი (**კუიბიშევის ოლქი**), 7 ივლისი. (საკდესი). ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან „კუიბიშევჰიდროშენში“ კვლავ მიდის მოწყობილობა და მასალები.

გუშინ მშენებლობის არმატურშემდუღებელი ქარხნების საშენებლო მოედნებზე ვაგონებიდან გადმოტვირთეს 10-15 ტონა ტვირთამწეობის ამწეთა ნაწილები, რომლებიც მოსკოვის ქარხანა „პოდიომნიკმა“ დაამზადა. ქვემო რაბის მშენებლობაზე მუშაობენ ქარხანა „სტროიმაშინის“ საათში 40 კუბმეტრი ბეტონის წარმადობის ბეტონსატუმბავები.

უკანასკნელ დროს მშენებლობამ ურალიდან მიიღო 30 ბულდოზერი, მინსკიდან და იაროსლავლიდან — დიზელიანი თვითსაცლელები, სატვირთო მანქანები. მექანიზატორებმა, რომლებიც მოგუტოვის მთის ქვის კარიერებს ამუშავებენ, ამას წინათ მიიღეს 25 ტონა ტვირთამწეობის სამი ავტომობილი.

„კუიბიშევჰიდროშენის“ მისადგომ გზებზე ყოველდღე 200-ზე მეტი სხვადასხვა ტვირთიანი ვაგონი მიდის. ათასობით ტონა საშენი მასალა სანაოსნო გზით მოდის.

ზრუნვა მშრომელთა ჯანმრთელობისათვის

უხტა. (კარელია-ფინეთის სსრ). კალევალის რაიონის ტყის დაბა კუუსინიეში დაიწყო პოლიკლინიკის აგება. ეს მეორე საქედიცინო დაწესებულება იქნება დაშორებულ ახალგაზრდა დაბაში.

რევოლუციამდელ არქივებში კალევალის რაიონი დახასიათებული იყო როგორც ყველაზე ჩამორჩენილი რაიონი ჯანმრთელობის დაცვის საქმეში. რაიონის ტერიტორიაზე არ იყო არც ექიმი, არც სამედიცინო დაწესებულება.

ახლა კალევალის რაიონი ერთ-ერთია კარელია-ფინეთის სსრ იმ მრავალი რაიონიდან, სადაც შექმნილია ბევრი სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულება. ასეთი დაწესებულება ახლა მეტ წილ დასახლებულ პუნქტებში მუშაობს. რაიონის მშრომელებს მომსახურებას უწევს 4 საექიმო უბანი, 11 საფერშლო-სამეანო პუნქტი. მუშაობს რაიონული საავადმყოფო, რომელსაც რამდენიმე განყოფილება აქვს.

რაიონში შენდება ახალი სამედიცინო დაწესებულებანი, მათ შორის რაიონული საავადმყოფოს შენობა უხტაში, პოლიკლინიკის, საავადმყოფოსა და საბავშვო ბაღის შენობები შონგაში, კეპსა და კუუსინიემში.

ტამპერეები. მირზაჩულის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში გაიხსნა ელექტროსამკურნალო; იგი ენერგიას იღებს სასოფლო-სამეურნეო არტელის ჰიდროელექტროსადგურისაგან. საამკურნალო მოწყობილია თანამედროვე ელექტროაპარატურით.

წელს უზბეკეთის სოფლებში სპეციალიზებული კაბინეტებისა და ლაბორატორიების რაოდენობა ერთიორად იზრდება შარშანდელთან შედარებით.

6 ივლისი. (საკდესი).

საწარმოებსა და საკოლმეურნეო სოფლებში

ჩვენი კორესპონდენტებისა და მკითხველებისაგან

საწარმოო გამარჯვებები

ჟიათურა. მარგანეცის ტრესტის კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ, რომელიც ქალაქში მთავარი სამშენებლო ორგანიზაციაა, ნახევარი წლის დავალება საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულა. საუკეთესო მაჩვენებლები აქვთ იმ უბნებს, რომლებსაც სამუშაოთა მწარმოებლები შ. მწყურაშვილი, მ. გვილავა და ა. მატაჩინი ხელმძღვანელობენ.

ცხაკაია. ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის საწარმოებმა წლის პირველ ნახევარში გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 482.600 მანეთის პროდუქცია.

შორაპანი. დატვირთვა-გადმოტვირთვის კანტორის კოლექტივმა განვლილ ექვს თვეში გეგმის გადამეტებით დატვირთა რამდენიმე ათას ტონაზე მეტი სახელმწიფო ტვირთი და გასწია 127.000 მანეთის ეკონომია.

წყალტუბო. გუმბრინის მაღაროების მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა წლის პირველ ნახევარში წარმატებით იმუშავეს, საწარმოო გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს და გეგმის გადამეტებით 5.600 ტონა გუმბრინი ამოიღეს.

ზესტაფონი. ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივმა, რომელიც ჩელიაბინსკელ და ზაპოროჟიელ მეტალურგებს ეჯიბრება, შრომითი წარმატება მოიპოვა — მეორე კვარტალის სახელმწიფო დავალება გადაჭარბებით შეასრულა.

ქარხნის მეოთხე საამქრომ, რომელსაც სტალინური პრემიის ლაურეატი გიორგი სიორიძე ხელმძღვანელობს, უკანასკნელი სამი თვის გეგმა 124,1 პროცენტით გაანადგა. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა მეორე კვარტალის საწარმო პროგრამა სადნობი საამქროს კოლექტივმაც, რომელსაც სტალინური პრემიის ლაურეატი გრიგოლ შათირიშვილი ხელმძღვანელობს.

სოციალისტური შრომის გმირის მაგალითი

ლაგოდეხი. სოფელ შრომის კოლმეურნეობას 136 ჰექტარი თამბაქოს პლანტაცია აქვს. აქაურმა მეთამბაქოეებმა თამბაქოს მოყვანის მდიდარი გამოცდილება შეიძინეს. წელს მათ უხვი მოსავალი მიიღეს. თამბაქო პირველმა შეტეხა სოციალისტური შრომის გმირმა ფ. ჯიბღაშვილმა, რომელსაც 0,5 ჰექტარი საუცხოოდ მოვლილი პლანტაცია აქვს.

კარგად მუშაობს ა. ინაშვილის ბრიგადა. მოსავლის აღება დაიწყეს პ. შეითნიშვილმა, გ. ედგაროვმა, შ. გედევანიშვილმა, მ. მურადაშვილმა და სხვებმა.

თამბაქოს მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებისათვის კოლმეურნეთა შორის გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება.

ექიმთა ბრიგადები საკოლმეურნეო მინდვრებში

დუშეთი. მოსავლის აღებასთან დაკავშირებით ჯანმრთელობის დაცვის რაიონულმა განყოფილებამ გამოჰყო ექიმთა ორი ბრიგადა.

ბრიგადებში შედიან კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც სამედიცინო დახმარებას გაუწევენ მინდვრად მომუშავე კოლმეურნეებსა და მექანიზატორებს. გარდა ამისა, ბრიგადის წევრები მოაწყობენ საუბრებსა და ლექციებს მოხსენებებს სამედიცინო საკითხებზე.

მეჯვრისხეველთა ხეხილის ბაღები

გორი. კარგი სანახავია სოფელ მეჯვრისხევის კოლმეურნეობის დახუნძლული ხეხილის ბაღები. მეჯვრისხეველები ბეჯითი შრომის ნაყოფს შეჰხარიან. კომკავშირელ დ. ზუმბულიძის ბრიგადა ჩაბმულია სოციალისტურ შეჯიბრებაში და იბრძვის იმისათვის, რომ 40 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 70 ცენტნერი ხილი. მას გამოწვეული ჰყავს ა. ბერაშვილის ბრიგადა.

დ. ზუმბულიძის ბრიგადამ წარმატებით დაამთავრა საგაზაფხულო სამუშაოები. ივნისში ბაღებს მესამედ უწამლა ნაყოფჭამიას წინააღმდეგ. ახლა მიმდინარეობს მეოთხე წამლობა, აგროვებენ ნაქარს და გააქვთ ბაღებიდან, რითაც ხეობენ ხეხილის მავნებელთა გავრცელების კერას.

ათტოლნიანი სასწორი კოლმეურნეობაში

თელავი. დღემდე კოლმეურნეობები საშრობებსა და საწყობებში მიტანილ ხორბალს, სიმინდსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს პატარა სასწორებზე წონიდნენ. ეს ბევრ მუშახელს მოითხოვდა. გარდა ამისა, აწონა გვიანდებოდა, რაც ტრანსპორტის მოცდენას იწვევდა.

ამ ნაკლის თავიდან ასაცილებლად სოფელ იყალთოს კოლმეურნეობამ მთავარ საწყობთან 10-ტონიანი სასწორი დადგა. აქ ხორბალს ტრანსპორტთან ერთად წონიან. ამის გამო მუშახელის საჭიროება ერთიბუთად შემცირდა.

ათტონიანი სასწორები მოაწყეს აგრეთვე რუისპირისა და ჯუღაანის კოლმეურნეობებმა.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში



ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის ხუთწლიანი გეგმის ერთ-ერთი ობიექტია ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა დაბა ცერიაში ქალაქ ელბასანის ახლოს. მშენებლობის მუშათა შორის გაჩაღდა შეჯიბრება დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის. შეჯიბრების ავანგარდში დგანან ალბანეთის შრომის პარტიის წევრები. სურათზე: მშენებლობის დამკვრელი, ალბანეთის შრომის პარტიის წევრი ალი შემე.

ფოტო ხ. ალიტოვსკისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ვ. ი. ლენინის თხზულებათა 32-ე ტომი უნგრულ ენაზე

ბუდაპეშტი. (საკდესი). გამომცემლობა „სიკრამ“ უნგრულ ენაზე 50 ათასი ცალი ტირაჟით გამოუშვა ვ. ი. ლენინის თხზულებათა 32-ე ტომი. ეს ტომი შეიცავს ვ. ი. ლენინის შრომებს, რომლებიც მან დაწერა 1920 წლის 30 დეკემბრიდან 1921 წლის 14 აგვისტომდე.

შანხაიში დაიწყო ხელის მოწერა ი. ბ. სტალინის თხზულებათა პირველ ტომზე

შანხაი, 6 ივლისი. (საკდესი). გაზეთი „სინმინბაო“ იუწყება, რომ 5 ივლისს შანხაიში დაიწყო ხელის მოწერა ი. ბ. სტალინის თხზულებათა პირველ ტომზე, რომელიც ჩინურ ენაზე გამოდის.

დილაადრიან, ჯერ კიდევ კარგა ხნით ადრე, სანამ წიგნის შალაზიები გაიღებოდა, მათთან შეიქმნა ხელმომწერთა დიდი რიგები. აქ იყვნენ შანხაის ფაბრიკა-ქარხნის მუშები, სახელმწიფო დაწესებულებათა და სავაჭრო საწარმოთა მოსამსახურენი, სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მებრძოლები და ოფიცრები, სტუდენტები და ქალაქის მოსახლეობის სხვა ფენების წარმომადგენლები.

მოსავლის აღება პოლონეთში

ვარშავა, 7 ივლისი. (საკდესი). პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში გაჩაღებულია პურეულის აღება.

წელს სახელმწიფო სასოფლო მეურნეობათა, სამიწათმოქმედო საწარმო კოოპერატივთა და ერთპიროვნულ მეურნეობათა მინდვრებში მნიშვნელოვნად მეტი სასოფლო-სამეურნეო მანქანა მუშაობს, ვიდრე წარსულ წლებში. თვითმავალ კომბაინთა რაოდენობა სახელმწიფო სასოფლო-მეურნეობების მინდვრებში 4,5-ჯერ გადიდდა გასულ წელთან შედარებით. 250 პროცენტით გადიდდა ტრაქტორთა რაოდენობა.

პოზნანის, ვროცლავის, ოპოლიეს და სხვა საგოვეოდოების სახელმწიფო სასოფლო მეურნეობებში უკვე აიღეს ქერი და რაპსი. გაჩაღებულია ამ კულტურების ლეწვა. ბევრი სახელმწიფო სასოფლო მეურნეობა წელს უხვ მოსავალს იღებს. დაიწყო სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება.

კორეის საზოგადოებრიობა ემზადება ვ. ვ. მაიაკოვსკის დაბადების 60 წლისთავის აღსანიშნავად

ფხენიანი, 7 ივლისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საზოგადოებრიობა ემზადება იმისათვის, რომ აღნიშნოს ვლადიმერ მაიაკოვსკის დაბადების 60 წლისთავი, რაც 19 ივლისს სრულდება. ჩრდილოეთ კორეის საწარმოებში, სკოლებსა და სოფლებში იმართება საღამოები, ეწყობა გამოფენები, მიძღვნილი პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი. მუშებს, გლეხებსა და მოსწავლეებს უკითხავენ ლექციებს საბჭოთა ხალხის დიდი პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

სახელმწიფო გამომცემლობა და სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის კორეის საზოგადოების და ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა სრულიად კორეის ასოციაციის გამომცემლობანი უშვებენ მაიაკოვსკის ლექსთა კრებულს, აგრეთვე ბროშურებს პოეტის შემოქმედების შესახებ.

გაზეთი „ნოდონ სინმუნი“ აქვეყნებს მაიაკოვსკის ცალკეულ ნაწარმოებებს, თარგმნილს კორეულ ენაზე. ამ ბოლო დროს გაზეთმა მოათავსა მთელი რიგი ნაწყვეტები პოემიდან „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი“ და ლექსი „ბლეკ ენდ უაიტ“.

მოსავლის ვადაზე და უდანაკარგოდ აღებისათვის!

გულშემატკივარნი და უდარდელნი

კომბაინერთა შეჯიბრება

სოფელ აკურის კოლმეურნეობა „მოწინავეში“ მევენახეობას წამყვანი ადგილი უჭირავს. მაგრამ აკურელი კოლმეურნეები დიდი მონდომებით მუშაობენ პურეულის მოსავლიანობის გასადიდებლადაც. 536 ჰექტარი ყანა აქ ახლა ოქროსფრად ბზინავს.

თელავის მტს-ის „სტალინეც-6“ მარკის კომბაინი აკურის მინდვრებში მუშაობს. აგრეგატი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით. აგრეგატის უფროსს ლუკა შიუკაშვილს კომბაინის მართვის 17 წლის გამოცდილება აქვს. გ. სიდონაშვილი ტრაქტორის კარგი მცოდნეა, მეშტურვალე ი. მიქაძე და მისაბმელ მანქანაზე მომუშავე კ. დავითინიძე ენერგიული მუშაკები არიან.

მოსავლის აღების დაწყების პირველ სამ დღეს ლ. შიუკაშვილმა 50 ჰექტარი პური მომკა და კოლმეურნეობის მარცვალსაშრობებში 80 ტონა პური გაგზავნა. 12 ჰექტარ ნაკვეთში მან ჰექტარზე საშუალოდ 27 ცენტნერი ხორბალი გალეწა. კომბაინერი ლ. შიუკაშვილი ენისლის მტს-ის მექანიზატორ ნ. მეტრეველს ეჯიბრება.

პურის ტუზი მოსავალია ქვემო ხოდაშნის კოლმეურნეობაშიც. აქ „სტალინეც-6“ მარკის კომბაინს დ. მამუკელაშვილი ამუშავებს. მან სოციალისტურ შეჯიბრებაში თავისი მამა, კომბაინერი გიორგი მამუკელაშვილი გამოიწვია. პირველ დღეს მამამ გაიმარჯვა, კონდოლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას 21 ჰექტარი მოუმკა. მეორე დღეს მის სასარგებლოდ დამთავრდა. მესამე დღეს კი შვილმა გაუსწრო მამას, დიმიტრიმ 22 ჰექტარი მომკა.

თელავის მტს-ის კომბაინერმა თ. კაჭკაჭიშვილმა მიმდინარე სეზონში 500 ჰექტარის მომკა იკისრა და სოციალისტურ შეჯიბრებაში ლაგოდეხის საყრდენ-საჩვენებელი მტს-ის კომბაინერი ფ. რიჟამაძე გამოიწვია. თ. კაჭკაჭიშვილი საათობრივი გრაფიკით მუშაობს. მან პირველ ორ დღეში 43 ჰექტარი აიღო. გულგულის კოლმეურნეობის გამგეობა (თავმჯდომარე ივ. ანთაური) კომბაინერს სათანადოდ არ ეხმარება. მის აგრეგატს ხორბლის საზიდავად ტრამები მიამაგრა, აგტომანქანას კი სხვა სამუშაოზე იყენებს.

კომბაინერი ბ. ნახუცრიშვილი, რომელიც თავის ძმისწულს ახმეტის მტს-ის კომბაინერ ბ. ნახუცრიშვილს ეჯიბრება, მაღალნაყოფიერად მართავს „სტალინეც-6“ მარკის კომბაინს, დღიური დავალების გადამეტებით 5-6 ჰექტარს იღებს. სოფელ იყალთოს კოლმეურნეობის წევრები ნახუცრიშვილის მუშაობით კმაყოფილი არიან.

ცნობილია, რომ ჩაბნეული თავთავის აკრეფა დიდ შრომას მოითხოვს. ამ საქმეს შესრულება კი აუცილებელია, რადგან გამოარკვეულია, რომ თვითეულ კვადრატულ მეტრზე დარჩენილი ორი თავთავი ჰექტარზე ერთი ფუთი ხორბლის დაკარგვას გამოიწვევს.

კომბაინერთა უმრავლესობამ პურის დაბლა ჭრით დანაკარგები მთლიანად აღმოფხვრა. სოფელ რუისპირის კოლმეურნეობა „ყურძენ-თავთავში“ კომბაინერი ვ. სიდონაშვილი მუშაობს. მართალია, იგი პირველად მართავს კომბაინს, მაგრამ საქმით გამოცდილ კომბაინერებს არ ჩამოუვარდება.

თელავის მტს-ში (დირექტორი ნ. ჩხოტუა, დირექტორის მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში ა. კირვალიძე) მოწინავენი სხვებიც არიან. კომბაინერებმა შ. კობიაშვილმა, გ. თუშბარამიშვილმა, ს. გიგოლაშვილმა მოსავლის აღების პირველ დღეებში ქება დაიმსახურეს. მაგრამ მკაში, აგრეგატების მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებიც გამოვლინდა.

სოფელ ვარდისუბნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში კომბაინერმა ვ. ვაშაძემ შემოუტმკელ ნაკვეთში გაატარა აგრეგატი. ამან მოსავლის დანაკარგი გამოიწვია. კომბაინერის გარდა ამ საქმეში ბრალი მიუძღვის კოლმეურნეობის ბრიგადირს ს. ქურციკაშვილს, რომელმაც ნაკვეთი დროულად არ მოამზადა. ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი „წვრილმანებისათვის“ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ივ. ყარაულაშვილი თავს არ იწუხებს. აქ დანაკარგების წინააღმდეგ არ იბრძვიან, მუშახელის ერთი ნაწილი საკოლმეურნეო შრომაში გამოყენებული არ არის.

რუისპირის კოლმეურნეობა „ყურძენ-თავთავში“ კომბაინერი ი. გრელაშვილი 2 ივლისს შემოუსვლელ პურს მკიდა.

ი. კრუგოვის კომბაინი „სტალინეც-6“ ამავე დღეს კურდღელაურის კოლმეურნეობაში 5 საათს გაცდა ტრაქტორის დაზიანების გამო, და ეს იმ დროს, როცა ვარდისუბანში ორი ტრაქტორი უქმად იდგა. სარეზერვო ტრაქტორები არც სხვა კომბაინებს აქვთ.

მტს-ის დირექცია არ ზრუნავს იმისათვის, რომ ყველა კომბაინერი საათობრივი გრაფიკით მუშაობდეს. კომბაინერებს ვ. ვაშაძეს, დ. გიგოლაშვილს და სხვებს საათობრივი გრაფიკით მუშაობაზე წარმოდგენაც არა აქვთ.

მექანიზატორთა შორის საგიტაციო მუშაობის გაშლისათვის არაფინ ზრუნავს. ჯერ არც ერთ აგრეგატთან საველე გაზეთი არ გამოუშვიათ, კომბაინერები, ტრაქტორისტები და სხვები მოკლებული არიან ახალ ყურნალ-გაზეთებს.

თუ არა მტს-ის დირექტორის მოადგილემ პოლიტიკურ ნაწილში და კოლმეურნეობათა პარტიულმა ორგანიზაციებმა, სხვამ ვინ უნდა მიიღოს საჭირო ზომები მინდვრად მექანიზატორთა და კოლმეურნეთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაშლისათვის?!

ს. ჟოჩლაძე.

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა. ამწყობ საამქროში ამჟამად მიმდინარეობს ყურძნის გადამმუშავებელი 3 ტონიანი ჰიდრავლიკური წნეხების აწყობა. **სურათზე** (მარცხნიდან): საამქროს უფროსი შ. თევზაძე და ამწყობი ზეინკალი რ. ხორიაშვილი წნეხის აწყობაზე მუშაობის დროს.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

წულუკიძე

საკუთარი კორესპონდენტისაგან

ჩაის უხვი მოსავალი

სოფელ მათხოჯის კოლმეურნეობის წევრები ჩაის უხვ მოსავალს იღებენ. ყოველდღიურად აქ კრეფენ 5-6 ტონა ჩაის ფოთოლს. კარგი მოსავალია აგრეთვე სოფელ ახალშენის კალინინის სახელობისა და კონტუათის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობებში. გუშინ, 8 ივლისს ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში მოკრიფეს 4 ტონამდე ჩაის ფოთოლი.

დიდი რაოდენობით იკრიფება ფოთოლი აგრეთვე წულუკიძის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში.

რაიონულ ცენტრში

წელს რაიონის ცენტრში გამწვანების მიზნით დაირგო მრავალი დეკორაციული მცენარე და ხეხილი. მიმდინარეობს სამრეწველო მშენებლობა. წლის ბოლოს საექსპლოატაციოდ გადაეცემა ძაფსაგრეხი ფაბრიკის შენობა. ამ დღეებში ახლად აგებულ 8-ოთახიან შენობაში გაიხსნება მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. დაწყებულია მუშაობა რევოლუციისათვის თავდადებული მებრძოლის ა. წულუკიძის საფლავზე ძეგლის დასადგმელად.

ბავშვთა საზაფხულო დასვენება

წელს მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება ბავშვთა საზაფხულო დასვენებისათვის. სოფელ გორდის პიონერთა ბანაკში ორ ცვლად გაატარებს ზაფხულს 200-ზე მეტი ბავშვი.

პიონერთა ბანაკში ეწყობა მხატვრული დილა-საღამოები, ტურისტული შეკრებები, ფიზკულტურული შეჯიბრებები და სხვ.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მშობლიურ მხარეზე მოგზაურობას. სოფელ კუხის საშუალო სკოლამ შეადგინა მოგზაურობის კონკრეტული გეგმა. მშობლიური მხარის გასაცნობად იმოგზაურებენ ქალაქის ქალთა, ვაჟთა, გოჩა-ჯიხაიშის საშუალო და წითელვარსკვლავის 8-წლიანი სკოლების მოსწავლეები.

მოძმე რესპუბლიკებში

ეუფლებიან

ძალოსნურ ჭრას

ბაქო. 1 მაისის სახელობის ქარხნის ამწყობ-მექანიკურ საამქროში შეიკრიბა ნავთობის მანქანათმშენებლობის ქარხნების ახალგაზრდა ჩქაროსან ხარატთა ჯგუფი.

„დიპ — 500“ ჩარხზე თავისი მუშაობის ხერხებს უჩვენებდა კომკავშირელი ხ. საბიტოვი, რომელმაც აითვისა ძალოსნური ჭრის მეთოდი. ჯალამბარის ფოლადის ლილვის დამუშავებისას მან სამ მეტრ სიგრძეზე გაატარა საჭრისი 20 წუთში, ნაცვლად წინანდელი ორი საათისა.

საჭრისი, რომლითაც საბიტოვი სარგებლობდა, დამზადებულია ვ. კოლესოვის საჭრისის პრინციპით საამქროს უფროსი ოსტატის ბ. უნანოვის მიერ. ოსტატის მეცადინეობის მეთოდებით ახლა ძალოსნური ჭრის მეთოდს საამქროს თითქმის ყველა ხარატი იყენებს.

ეუნანოვის საჭრისების შესახებ საბჭოთა კავშირის ბევრ ქალაქში შეიტყეს. ქარხანას ომსკიდან, ვორონეჟიდან და სხვა ქალაქებიდან მოსდის წერილები, რომლებშიც თხოულობენ ამ საჭრისის ნახაზების გაგზავნას.

ჰიდროელექტროსადგურების

ავტომატიზაცია

ერევანი. დაუშრეტელია სომხეთის წყლის ენერგეტიკული რესურსები. რესპუბლიკაში არის დაახლოებით 200 მეტის მდინარე და ნაკადული, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისათვის. ამ მდინარეებზე უკვე აშენებულია ათობით სასოფლო ჰიდროელექტროსადგური, რომელთა საშუალებითაც მოხდა ყველა კოლმეურნეობის ოთხი მეხუთედის ელექტროფიკაცია.

ენერგეტიკოსები შეუდგნენ სასოფლო ჰიდროელექტროსადგურების ავტომატიზაციას. უკვე დაიწყო სამუშაოები სომხეთის ყველაზე მძლავრ სასოფლო ჰიდროელექტროსადგურში — ჰოქტემბერიანის ჰიდროელექტროსადგურში, რომელიც ელექტროენერგიით ამარაგებს 33 სოფელს, სამრეწველო საწარმოს, მტს-ს, საბჭოთა მეურნეობას. სადგურის ავტომატიზაციის სქემა ითვალისწინებს აგრეგატების ამუშავებასა და ვაჩერებას მართვის პულტიდან და ავტომატურ გაჩერებას ავარიების დროს.

წარმოუდგენელია ამჟამინდელი ჰესის და ტურბინების ექსპლუატაცია — შამბლიანი რაიონის ... ავტომატიზაცია.

თემატური

კინოფესტივალები

ბაქო. ბაქოს კლუბებსა და კულტურის სასახლეებში ეწყობა თემატური კინოფესტივალები. „დიდი სამამულო ომის გმირები“ — ასე ეწოდებოდა ფესტივალს, რომელიც მოეწყო მეზღვაურთა კულტურის სახლში. აქ უჩვენეს საბჭოთა კინოდრამატურგიის თვალსაჩინო ნაწარმოებნი „ახალგაზრდა გვარდია“, „მზეერავის გმირობა“, „ზოია“, „პოლკის შვილი“ და სხვ.

სტალინის სახელობის კულტურის სასახლის კინოდარბაზში მოეწყო ფესტივალი თემაზე „ზღაპრის სამყაროში“. ნორჩ მაყურებლებს უჩვენეს სურათები „თოვლის ქალი“, „უკვდავი კაშჩეი“ და სხვ.

ბაგიროვის სახელობის კულტურის სახლში მოეწყო ფესტივალი თემაზე „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი“, ოფიცერთა გარნიზონის სახლში — თემაზე „თეატრი ეკრანზე“.

მთელ რიგ კულტურის სასახლეებში ეწყობა სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ფილმების ფესტივალი.

ერევნის კონსერვატორიის

23-ე გამოშვება

ერევანი. ამ დღეებში ერევნის კომიტასის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საქტო დარბაზში გაიმართა კონსერვატორიის 23-ე გამოშვებისადმი მიძღვნილი საღამო.

მიმდინარე სასწავლო წელს კონსერვატორია დაამთავრა 33 კაცმა. მათგან ექვსმა მიიღო წარჩინების დიპლომი. მაღალი შეფასება მიიღეს ე. ოგანესიანის (ბალეტი „ზღაპარი მწვანე მეგობარზე“), გ. ხაჩატურიანის (ოპერა „ხაჩატურ აბოვიანის“ პირველი სურათი) და სხვა ნაშრომებმა. ჰობოისტი ს. ამედიანი კონკურსით მიღებულია სსრ კავშირის აკადემიური დიდი თეატრის ორკესტრში. ოთხ დიპლომანტს სახელმწიფო-საგამოცდო კომისიამ რეკომენდაცია მისცა მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიის ასპირანტურაში. კურსდამთავრებულთა ჯგუფი სამუშაოდ მიემგზავრება სომხეთის რაიონების მუსიკალურ სკოლებში.

საბავშვო ბანაკები ზღვის სანაპიროზე

ტყვარჩელი. ოჩამჩირეში ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა სანატორიული ტიპის რამდენიმე საბავშვო ბანაკი მოაწყო. ბანაკებში ისვენებენ როგორც სკოლის ასაკის, ისე სკოლამდელი ასაკის ბავშვები. დამსვენებელ ბავშვთათვის შექმნილია სათანადო პირობები, დადგენილია სპეციალური რეჟიმი, რომელიც ექიმების მეთვალყურეობით სრულდება.

წელს აქ მეშახტეთა მრავალი ასი ბავშვი დაისვენებს. ისინი ჯანმრთელნი და მხიარულნი დაუბრუნდებიან მშობლიურ სკოლას.

პ. ბარძაია.

პარტიულ თემაზე

პარტიული ბიურო და პროფკავშირული ორგანიზაცია

იქ, სადაც პარტიული ორგანიზაცია საჭირო ყურადღებას აქცევს და სისტემატურ დახმარებას უწევს საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტს, პროფესიული კავშირების მუშაკებს ზრდის მინდობილი საქმისადმი პასუხისმგებლობის გრძნობით, პროფკავშირული მუშაობაც კარგად არის დაყენებული, დიდია პროფკავშირული ორგანიზაციის როლი საწარმოს ცხოვრებაში.

ასეა, მაგალითად, თბილისის სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების ქარხანაში. ამ ქარხნის პარტიული ორგანიზაცია ხშირად განიხილავს პროფკავშირული მუშაობის საკითხებს, ხოლო პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანი ნ. შეყრილაძე ნამდვილ ხელმძღვანელობასა და დახმარებას უწევს საქარხნო კომიტეტს. წელს იანვარში პარტბიუროომ სპეციალურად შეისწავლა ქარხანაში სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის და შეჯიბრებისადმი პროფკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელობის საკითხი. გამოირკვა, რომ ზოგიერთ საამქროში მუშების საგრძნობი ნაწილი ჩაბმული არ იყო შეჯიბრებაში, ხოლო მუშათა ბევრი ვალდებულება საერთო ხასიათს ატარებდა და მოკლებული იყო კონკრეტულობას. საქარხნო კომიტეტი არ ამოწმებდა შეჯიბრების შედეგებს, არ აცნობდა მათ მუშებს. ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად პარტბიუროომ სათანადო ღონისძიებანი განახორციელა.

პარტბიუროს მითითებათა საფუძველზე საქარხნო კომიტეტმა (თავმჯდომარე ლ. ლალიაშვილი) ენერგიულად გაშალა მუშაობა ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და მცირე დროში მდგომარეობის საგრძნობ გაუმჯობესებასაც მიაღწია. ამჟამად შეიძლება ითქვას, რომ თბილისის სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების ქარხანაში პროფკავშირული მუშაობა ცუდად არ დგას. პროფკავშირული ორგანიზაციის ინიციატივით ქარხანაში ეწყობა მუშამოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა საერთო კრებები. ამ კრებაზე განხილულ იქნა ისეთი აქტუალური საწარმოო საკითხები, როგორიც არის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, ტექნიკური უსაშიშრობის დაცვა, კოლექტიური ხელშეკრულების შესრულების მდგომარეობა. საამქროებსა და ბრიგადებში იმართება საწარმოო თათბირები, რომლებზეც განიხილავენ თვიური გეგმის შესრულების, სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა განაღდების, წარმოების კულტურის ამაღლების, ნედლეულისა და მასალების მომჭირნეობის, შრომის დისციპლინის განმტკიცების, წარმოებაში სტახანოვური შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვის და სხვა მრავალ აქტუალურ საწარმოო საკითხებს.

პროფკავშირული ორგანიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ის, რომ ყოველი ღონისძიებით განავითაროს მშრომელთა აქტივობა და შემოქმედებითი ინიციატივა, ფართო გასაქანი შეუქმნას რაციონალიზატორებს, წარმოების ნოვატორებს. ამ მხრივ ნაყოფიერ მუშაობას ეწევა თბილისის სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების ქარხნის პროფკავშირული ორგანიზაცია. რაციონალიზატორმა გ. სარჩიმელიამ წინადადება შეიტანა, რომ სამჭედლო საამქროში დაედგათ ახალი კონსტრუქციის ქურა, რომელიც 30 პროცენტით შეამცირებდა საწვავის ხარჯვას და 25 პროცენტით გაზრდიდა შრომის ნაყოფიერებას. საქარხნო კომიტეტი დაეხმარა რაციონალიზატორს იმით, რომ ქარხნის ადმინისტრაციას დააჩქარებინა ქურის აგება. საქარხნო კომიტეტმა ასეთივე დახმარება გაუწია რაციონალიზატორებს ა. პავლუნოს, ვ. ქვინიკაძეს, დ. ძიძიგურს და სხვებს. ამ მოწინავე ადამიანებმა თავიანთი რაციონალიზატორული წინადადებით 10-15 პროცენტით გაზარდეს შრომის ნაყოფიერება კულტივატორების რვილის, ჩაის ფოთლის საკრეჭი მაკრატლის, ვენახის შესაწამლავი აპარატის დეტალების დამზადებაზე, აგრეთვე მკვეთრად გაუმჯობესეს გამოშვებული პროდუქციის ხარისხი.

ის მდგომარეობა, რომ ამჟამად ქარხნის პროფკავშირული ორგანიზაცია უკეთ წარმართავს მუშების შრომითს აქტივობას ახალ საწარმოო წარმატებათა მოსაპოვებლად, იმის შედეგია, რომ ქარხნის პარტიული ორგანიზაცია ოპერატიულად ხელმძღვანელობს საქარხნო კომიტეტის მთელ საქმიანობას. მნიშვნელოვანწილად ამან უზრუნველყო ის, რომ ქარხანამ გასული სამეურნეო წელი სასახელო მაჩვენებლებით დაამთავრა, ხოლო წელს კიდევ უფრო გააძლიერა მუშობა და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით პირველი ადგილი დაიკავა. ქარხნის კოლექტივი ახლაც გამართულად მუშაობს და გეგმას წარმატებით ასრულებს.

სულ სხვა მდგომარეობაა საქართველოს სსრ სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს თბილისის ფანერის ქარხანაში, სადაც პარტიული ბიურო საკმაო ხელმძღვანელობას და დახმარებას არ უწევს ქარხნის პროფკავშირულ ორგანიზაციას. საწარმოში არა ჩანს საქარხნო კომიტეტის როლი. მუშებს შორის გაშლილი არ არის კულტურულ-მასობრივი მუშაობა, სოციალისტური შეჯიბრება ფორმალურ ხასიათს ატარებს, საამქროთა პროფჯგუფორგანიზატორები ვერ რაზმავენ მუშებს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, მასალების, სათბობის, ელექტროენერგიის მომჭირნეობის, საწარმოო კულტურის ამაღლებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის საბრძოლველად.

მაგალითად, საშრობ საამქროში, სადაც პროფჯგუფორგია მ. სირბილაძე, წელს ერთხელაც არ მოუწვევიათ საწარმოო თათბირი, არ შეუმოწმებიათ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება, არავინ დაინტერესებულა მოწინავეთა გამოვლინებითა და წახალისებით, წარმოებაში შრომის ნოვატორული მეთოდების დანერგვით. საამქროში არა აქვთ საპატიო დაფა, არ გამოდის კედლის გაზეთი, მოუწესრიგებელია პროფკავშირული მეურნეობა, კავშირის ზოგიერთ წევრს 4-8 თვის საწევრო შესატანი აქვს გადაუხდელი. მაგრამ ყოველივე ეს ნაკლებად აწუხებს პროფჯგუფორგს მ. სირბილაძეს. აბა მაშ რით უნდა ავხსნათ, რომ საამქროში მას ერთხელაც არ გაუმართავს საუბარი პროფკავშირული დისციპლინის განმტკიცებისა და კავშირის წევრის უფლება-მოვალეობის შესახებ.

თითქმის ასეთივე მდგომარეობაა უტილისა და ფანერის საამქროებში, სადაც პროფჯგუფორგებად გამოყოფილი არიან ი. ჯანილოვა და ვ. ლაზარევი.

სამწუხაროა, რომ ყოველივე ეს ხდება ქარხნის პარტბიუროსა და საქარხნო კომიტეტის თვალწინ, რომ არც პარტბიუროა და არც საქარხნო კომიტეტი ამას ყურადღებას არ აქცევენ, ზომებს არ იღებენ მდგომარეობის გამოსასწორებლად. თვით საქარხნო კომიტეტი უდარდელად ეკიდება მუშებს შორის სოციალისტური შეჯიბრების გაშლას, ანგარიშს არ უწევს მასების თაოსნობას, მათ წინადადებას.

18 თებერვალს ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ ერთხმად მიიღო დადგენილება სოციალისტურ შეჯიბრებაში ბათუმის ფანერის ქარხნის გამოწვევის შესახებ და იკისრა შემდეგი საწარმოო ვალდებულებანი: წლიური გეგმა შეასრულოს 5 დეკემბრისათვის, შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით გაზარდოს 8 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება შეამციროს 5 პროცენტით, გაუმჯობესოს ხარისხი, დაზოგოს ნედლეული და სხვ. შეჯიბრების შედეგების შემოწმება ეთხოვა საქართველოს ხის დამმუშავებელ ტრესტს და ხის დამმუშავებელი წარმოების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს. მაგრამ საქარხნო კომიტეტმა საერთო კრების დადგენილება უჯრაში ჩაკეტა და როგორც ბათუმის ფანერის ქარხანას, ისე არბიტრად დასახელებულ ორგანიზაციებს სოციალისტური შეჯიბრების პირობები მხოლოდ რამდენიმე თვის დაგვიანებით გაუგზავნა. ამის შედეგად ბათუმის ფანერის ქარხნის კოლექტივისაგან პასუხი დღემდე არ არის მიღებული.

საქარხნო კომიტეტი და მისი თავმჯდომარე ბ. კირტაძე შეჯიბრებისადმი აშკარა უსულგულო, ფორმალურ დამოკიდებულებას რომ იჩენენ, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ქარხანაში ხუთი თვის განმავლობაში მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე მხოლოდ ერთხელ განიხილეს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების საკითხი, ამასთან კრების ოქმიდან არა ჩანს, თუ რომელმა საამქრომ გაიმარჯვა ან რომელი ჩამორჩა.

ქარხნის პროფკავშირული ორგანიზაცია უყურადღებობას იჩენს რაციონალიზატორებისადმი. სწორედ ასეთი „ზრუნვის“ შედეგია ის, რომ წელს მხოლოდ ორი რაციონალიზატორული წინადადება არის შემოსული და აქამდე წარმოებაში მათი დანერგვაც ვერ მოხერხდა. პროფკავშირულმა ორგანიზაციამ ამავე დროს დაივიწყა, რომ მისი მოვალეობაა მუშა-მოსამსახურეთა შორის კულტურულ-მასობრივი მუშაობის წარმოება, ყოველდღიური ზრუნვა მათი საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად, მათთვის შრომის საუკეთესო პირობების შესაქმნელად.

პროფკავშირული მუშაობის ჩაშლამ, ცხადია, უარყოფითი გავლენა მოახდინა ქარხნის საერთო სამეურნეო საქმიანობაზე. ფანერის გამოშვების ხუთი თვის გეგმა შესრულებულია დანაკლისით — 96,1 პროცენტით, სხვადასხვა მიზეზების გამო ქარხნის საწარმოო მოწყობილობა 2.536 მანქანასაათს მოკდა, მუშათა საგრძნობი ნაწილი არათუ შეჯიბრებით ნაკისრ გაზრდილ ვალდებულებებს, გამომუშავების ნორმებსაც კი ვერ ასრულებს, ადგილი აქვს მუშახელის დენაფლობას და სხვ.

ქარხნის პარტიული ბიუროს მდივანი ა. ქორქია ყოველივე ამას ურიგდება, გულდამშვიდებით შესცქერის და ზომებს არ იღებს მდგომარეობის გამოსასწორებლად. პარტბიუროს არსებითად პროფკავშირული მუშაობის არც ერთი საკითხი არ შეუსწავლია და თავის სხდომაზე არ უმსჯელია ამ დარგში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებაზე.

ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს, მათ ხელმძღვანელებს მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ პროფკავშირი მშრომელთა ყველაზე მასობრივი ორგანიზაციაა, რომ პროფკავშირული მუშაობის მაღალ დონეზე დაყენება საწარმო-დაწესებულების წარმატების საწინდარია. ისინი მოვალენი არიან განუხრელად ახორციელებდნენ პარტიის XIX ყრილობის მითითებას პროფკავშირული მუშაობის გაუმჯობესებისა და სრულყოფის შესახებ, სისტემატურად აძლიერებდნენ ხელმძღვანელობას პროფესიული კავშირებისადმი.

პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები ყოველთვის უნდა იყვნენ დაინტერესებულნი, თუ როგორ ხელმძღვანელობენ და ეხმარებიან პარტიული ბიუროები პროფკავშირულ ორგანიზაციებს. ისინი ამავე დროს სისტემატურად უნდა ასწავლიდნენ, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატება ეს ხელმძღვანელობა და დახმარება. ამ მიზნით საჭიროა პრაქტიკაში შემოვიღოთ პირველადი ორგანიზაციების მდივნების სემინარებზე საკითხის სპეციალურად განხილვა: „პარტიული ბიურო და პროფკავშირული ორგანიზაცია“, მოვაწყოთ მოწინავე პარტიული ორგანიზაციების გამოცდილების განზოგადება, რაიონულ და საქალაქო გაზეთებში რეგულარულად მოვათავსოთ წერილები პროფკავშირული ორგანიზაციებისადმი დახმარებისა და ხელმძღვანელობის შესახებ.

ა. სილაგაძე.

წერილები რედაქციას

ინჟინერ ნ. გაგოშიძის სისტემის ავტოსკრეპერი

სახალხო მეურნეობის მრავალ დარგში და კერძოდ მშენებლობაში ერთობ დიდი მოცულობისაა და ამავე დროს შრომატევადია დატვირთვა-გადმოტვირთვა. ამ სამუშაოების მექანიზაცია მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებო საქმეა, რადგან მას შეუძლია აამაღლოს ავტოგადაზიდვათა წარმადობა, შეამციროს საჭირო ავტომანქანათა რიცხვი და ტრანსპორტირების თვითღირებულება, გააადვილოს მუშის შრომა და გაზარდოს მისი გამომუშავების ნორმა. ამიტომ ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ყველა არსებული მექანიზმი, ამასთან ერთად ზზრუნველობით მოვეკიდოთ წარმოების ნოვატორთა რაციონალურ წინადადებებს და სწრაფად და საფუძვლიანად ავითვისოთ ახალი მანქანები.

ფხვიერი მასალების დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციების მექანიზებული წესით წარმოების საშუალებათა ძიება რუსთავის მშენებლებმა უკვე დიდი ხანია დაიწყეს და სტაციონარულ პირობებში ფხვიერი ტვირთის მექანიზებული გადმოტვირთვის პრობლემა გადაწყვეტილ იქნა სკრეპერის გამოყენებით. ამ მექანიზმმა საშუალება მისცა მშენებლებს შეემცირებინათ სამუშაო დრო და სამუშაოთა ღირებულება, მაგრამ აქ ცუდი ის იყო, რომ სკრეპერის გამოყენება შესაძლებელი იყო მხოლოდ სტაციონარულ პირობებში.

ეს ნაკლი ლიკვიდირებულ იქნა ინჟინერ ნ. გაგოშიძის მიერ გასული წლის ბოლოს შემუშავებული ახალი ავტოსკრეპერის შექმნით. ინჟინერ გაგოშიძის სისტემის სკრეპერი შესანიშნავი მექანიზმია ფხვიერი საშენი მასალების დამუშავებისა და დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციათა შესრულებისათვის. იგი საინტერესოა აგრეთვე თავისი სიმარტივით და მრავალი სახის ოპერაციების შესრულების უნარით. ასეთი სკრეპერის დამზადება შეიძლება ყოველი სამშენებლო მოედნის მექანიკურ სახელოსნოში. ეს მექანიზმი წარმოადგენს ჩვეულებრივი ტიპის თვითსაცლელ ავტომანქანას (მისი მოწყობა შეიძლება ნებისმიერი ტიპის სატვირთო მანქანაზეც). რომლის წინა საბარგო ჩარჩოზე დაყენებულია ჯალამბარი ბაგირით. ბაგირზე გამობმულია დამტვირთავ-განმტვირთავი ნიჩაბი — სკრეპერი. ბაგირის დიდი სიგრძე და მანქანის მოძრაობის უნარი საშუალებას იძლევა მექანიზმი გამოვიყენოთ ყველგან, სადაც ავტომანქანას შეუძლია მისვლა.

გაგოშიძის სისტემის სკრეპერი ღირსშესანიშნაია იმითაც, რომ ჯალამბარი მოძრაობაში მოჰყავს ავტომანქანის მოტორს და მისი მოქმედება დამოუკიდებელია ავტომანქანის ძრავაზე. ამასთან თვითსაცლელი მანქანა ინარჩუნებს თავის უცვლელი ყველა თვისებას და ჩვეულებრივად შეიძლება მისი გამოყენება დანიშნულებისამებრ — ტვირთების გადაზიდვისა და თვითგანტვირთვისათვის. ამ მანქანას დამატებით შეუძლია შეასრულოს შემდეგი სამუშაოები: ყოველგვარი ფხვიერი საშენი მასალის დატვირთვა და გადმოტვირთვა, ამ მასალების, აგრეთვე გაფხვიერებული ყამირის მოგროვება და გადაადგილება, მცირე პროფილის თხრილებისა და ტრანშეების ამოვსება, გზებისა და სამშენებლო მოედნების მოშანდაკება, ასფალტობეტონის გაშლა და ცალობრივი ტვირთების გადაადგილება.

აღწერილი ავტოსკრეპერის დამზადება მოითხოვს მცირე ხარჯებს, ხოლო მისი ეფექტი მუშაობაში ძალიან დიდია. ასეთი მანქანის ნიმუში, რომელიც დამზადებულია რუსთავში და აქვე სამშენებლო მოედნებზე მუშაობს, საუკეთესო შედეგს იძლევა. ავტოსკრეპერის წარმადობა ცვლაში საშუალო სიმაგრის გრუნტების გადაადგილებისას 5 მეტრ მანძილზე ქრონომეტრული მონაცემების მიხედვით, შეადგენს 390 ტონას, ხოლო ავტოსკრეპერზე მომუშავე ერთი მუშის წარმადობა ცვლაში შეადგენს 130 ტონას, მაშინ როდესაც იმავე სამუშაოს ხელით შესრულებისას მოქმედი ნორმების მიხედვით ერთი მუშის წარმადობა შეადგენს 32 ტონას ცვლაში. არიგად, ხელით შრომასთან შედარებით სამუშაოთა ღირებულება მცირდება ოთხჯერ, ხოლო წარმადობა იზრდება 406 პროცენტით.

საჭიროა რუსთავის მშენებელთა ხელმძღვანელებმა მეტი ყურადღება მიაქციონ ამ საქმეს, უზრუნველყონ სამშენებლო მოედნები ასეთი მექანიზმებით. ამავე ავტოსკრეპერის გამოყენება დიდად გაუადვილებს მუშაობას ჩვენს რკინიგზელებს ვაგონების დატვირთვა-გადმოტვირთვაში (ავტოსკრეპერის წარმადობა ვაგონის განტვირთვისას უდრის 31 ტონას საათში). ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველო ხშირად იძულებული ხდება დიდი ხნით შეაჩეროს მოძრაობა გზების შეკეთების დროს ქვიშითა და ბალასტით დატვირთული ტრამვაის ვაგონების დასაცლელად. მათ წარმატებით შეუძლიათ გამოიყენონ ავტოსკრეპერი.

საჭიროა ინჟინერ ნ. გაგოშიძის სისტემის ასეთი ავტოსკრეპერებით უზრუნველვყოთ ყველა მშენებლობა.

ინჟინერი შ. დემეტრაშვილი.

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

„რატომ ურიგდებიან ჩამორჩენას ჩაის კრეფაში". ამ სათაურით ჩვენი გაზეთის 20 ივნისის ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია, რომელშიც მხილებული იყო წულუკიძის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშაობის სერიოზული ნაკლოვანებები. ამ წერილთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს ჩაის საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველოს უფროსმა ამხ. მ. ღონინჯილიამ რედაქციას აცნობა, რომ მიღებულია ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად. მაისში ჩაის ფოთლის დანაკარგების დაშვებისა და კრეფის წესების დარღვევისათვის მეურნეობის დირექტორს ამხ. ვ. მაჭარაძეს და მთავარ აგრონომს ამხ. ბ. კაპანაძეს მითითება მიეცათ. დასახულია ღონისძიებანი მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

ახალგაზრდობის ზეიმზე

სასწავლო წლის დამთავრებისადმი მიძღვნილი საღამო

სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში (ფუნიკულორის პლატო) პროფესიულ კავშირთა საქართველოს რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტმა მოაწყეს თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა და ტექნიკუმების მოსწავლეთა საზეიმო საღამო, მიძღვნილი 1952-53 სასწავლო წლის დამთავრებისადმი. საღამოს დაესწრო 8.000-ზე მეტი მოსწავლე ახალგაზრდა.

მოხსენება მიმდინარე სასწავლო წლის შედეგების შესახებ გააკეთა საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანმა პროპაგანდისა და აგიტაციის დარგში ამხ. გ. გვერდწითელმა. დედაქალაქის სტუდენტებს მიესალმა საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დირექტორი, გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი გ. ზარიძე.

საღამოზე სიტყვები წარმოთქვეს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა თ. ბადურაშვილმა, თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა რ. თავართქილაძემ, ქალთა პირველი საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა ი. ჩხეიძემ და სხვებმა. ახალგაზრდები თავიანთ სიტყვებში მადლობას უხდიდნენ შშობლიურ კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას მათდამი დიდი ყურადღებისა და მზრუნველობისათვის.

დასასრულ გაიმართა სეირნობა, ცეკვა და კონცერტი დედაქალაქის თეატრების მსახიობთა მონაწილეობით.

* * *

სურათზე: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

სასწავლებლად მოსკოვსა და ლენინგრადში

წელს მოსკოვისა და ლენინგრადის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში ქართველი სტუდენტებისათვის გამოყოფილია 50 ადგილი. ახალგაზრდები 20 აგვისტოდან მისაღებ გამოცდებს ჩააბარებენ თბილისის კიროვის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

გორის რაიონის სოფლების ელექტროფიკაცია

წარმატებით მიმდინარეობს გორის რაიონის სოფლების ელექტროფიკაცია. წელს ელექტროშუქი მიიღეს კარალეთის, ნიქოზის, უფლისციხის და რაიონის სხვა სოფლების კოლმეურნეთა ოჯახებმა. ელექტროდენი მიეცა მეცხოველეობის ფერმებს, საზოგადოებრივ დაწესებულებებს. ამუშავდა საკოლმეურნეო ელექტროწისქვილები.

ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ელექტრსადგურის შემდგომ გაფართოებისათვის. ტირიფონპესიდან მალე მიიღებენ შუქს ქახვრელის, შავშვების და წითელი უბნის კოლმეურნეობები.

ი. თევდორაშვილი.

საერთაშორისო ინფორმაციის ბიურო

ბულგარეთის ეროვნული ბანკის ორგანიზაციის ანგარიში

ბულგარეთის ეროვნული ბანკის ორგანიზაციის ანგარიშიდან ჩანს, რომ ბანკის ბალანსი 1952 წლის 31 დეკემბერს 1.000.000.000 ლევამდე ავიდა. ბანკის ბალანსი 1951 წლის 31 დეკემბერს 1.000.000.000 ლევამდე ავიდა. ბანკის ბალანსი 1950 წლის 31 დეკემბერს 1.000.000.000 ლევამდე ავიდა. ბანკის ბალანსი 1949 წლის 31 დეკემბერს 1.000.000.000 ლევამდე ავიდა. ბანკის ბალანსი

გერმანიის კომუნისტური პარტიის ბონის ბუნდესტაგის ფრაქციის განცხადება

ბერლინი, 6 ივლისი. (საკდესი). ადენ-ის საგენტო ბონიდან გადმოგვცემს, რომ ბონის ბუნდესტაგში საგარეო პოლიტიკის საკითხებზე კამათის დამთავრების შემდეგ გერმანიის კომუნისტური პარტიის ფრაქციამ 1 ივლისს გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ადენაუერმა და მისმა მთავრობის კოალიციამ კვლავ გადაჭრით გამოთქვეს აზრი გერმანიის გაერთიანებისა და ოთხი სახელმწიფოს კონფერენციის მოწყობის წინააღმდეგ.

განცხადებაში ნათქვამია:

სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის იმ წინადადებისათვის კენჭისყრა, რომელსაც გერმანიის კომუნისტური პარტიის ფრაქცია ეთანხმება და რომელიც შეიცავს წინადადებას — რაც შეიძლება მალე მოეწყოს ოთხი დიდი სახელმწიფოს კონფერენცია, ყოველ გერმანელს უჩვენებს, თუ რამდენად მართალი იყო გერმანიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე მაქს რაიმანი, როცა მან ბუნდესტაგში წარმოთქმულ სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ დოქტორი ადენაუერი და მისი მთავრობის კოალიცია ქრისტიან დემოკრატთა კავშირის — ქრისტიან სოციალისტთა კავშირის, თავისუფალი დემოკრატიული პარტიისა და გერმანიის პარტიის შემადგენლობით ეწინააღმდეგებიან გერმანიის გაერთიანებას მშვიდობიან საფუძველზე და ოთხი დიდი სახელმწიფოს კონფერენციის მოწვევას. მთავრობის კოალიციამ დოქტორ ადენაუერის მეთაურობით სახელობითი კენჭისყრის დროს ხმა მისცა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წინადადების წინააღმდეგ და ამით ხმა მისცა ოთხი დიდი სახელმწიფოს კონფერენციის წინააღმდეგ.

ამიტომ ყველა გერმანელის ეროვნული მოვალეობაა ბუნდესტაგის მომავალ არჩევნებში დაამარცხოს ახლანდელი მთავრობის უმრავლესობა. ამის მისაღწევად უნდა დაირაზმოს ყველა, ვისაც სურს ჩვენი სამშობლოს მშვიდობიანი გაერთიანება და ოთხმხრივი კონფერენციის მოწვევა. უნდა შეიქმნას ახალი მთავრობა, რომელიც განახორციელებს გერმანელი ერის ინტერესებისა და ხალხთა შეთანხმების ინტერესების შესაბამის პოლიტიკას.

გერმანიის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური გამგეობის სხდომა

ბერლინი, 7 ივლისი. (საკდესი). დღეს გაზეთი „დერ მორგენი“ იუწყება, რომ 5 ივლისს ბერლინში გაიმართა ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური გამგეობის სხდომა.

პარტიის თავმჯდომარემ დოქტორმა ჰანს ლუხმა ამ სხდომაზე გააკეთა მოხსენება თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. მან დაასურათა ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის პოზიცია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ განვითარებაში და განმარტა მთელი რიგი ეკონომიური წინადადებანი, რომელთა წარდგენას ეს პარტია აპირებს მთავრობის განსახილველად. მოხსენება გააკეთეს აგრეთვე ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის მოადგილეებმა დოქტორმა იოჰანეს დიკმანმა და ვილი-პეტერ კონდოკმა.

ვილჰელმინა შირმერ-პრეშერმა სხდომას გააცნო მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბუდაპეშტის სესიის მუშაობა და ხაზი გაუსვა სესიის მნიშვნელობას გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტისათვის.

გაზეთი „დერ მორგენი“ წერს, რომ ცენტრალური გამგეობის სხდომაზე გაკეთებული მოხსენებანი და კამათი ამ მოხსენებათა გამო კვლავ ადასტურებს ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის გადაწყვეტილებას — მხარი დაუჭიროს მთავრობის კურსს, აგრეთვე ცხადყოფს პარტიის წევრთა მზადყოფნას აქტიურად ითანამშრომლონ ამ კურსის განხორციელებაში.

პარტიის ყველა წევრის სახელით ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურმა გამგეობამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს ვილჰელმ პიკს.

სხდომაზე მიღებულ იქნა ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური გამგეობის პოლიტიკური რეზოლუცია, რომელიც გმობს 17 ივნისის ფაშისტურ პროვოკაციას, ნდობას უცხადებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას და მოუწოდებს ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის წევრებს ყოველი ღონისძიებით იბრძოლონ გერმანელი ხალხის უმაღლესი ეროვნული მიზნების — ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე გერმანიის შექმნის და გერმანიასთან სამართლიანი საზავო ხელშეკრულების დადების რაც შეიძლება მალე მისაღწევად.

კორეის ამგეგი

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 7 ივლისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 7 ივლისს გამოაცხადა:

გასული დღის მანძილზე ფრონტებზე ცვლილება არ მომხდარა.

6 ივლისს ღამით ამერიკის თვითმფრინავებმა ბარბაროსულად დაბომბეს მუნდოკის მაზრის (სამხრეთ ფხენანის პროვინცია) სასოფლო რაიონები. დაიღუპა რამდენიმე ათეული მცხოვრები. დიდი ზარალი მოუვიდა ნათესებს.

კუნძულ კოჯედოზე კვლავ მხეცურად გაუსწორდნენ სამხედრო ტყვეებს

ნიუ-იორკი, 7 ივლისი. (საკდესი). ასოშიერეტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი ტოკიოდან იუწყება, რომ გუშინ კუნძულ კოჯედოზე ამერიკელ მცველთა რაზმმა გაფანტა სამხედრო ტყვეთა სამი დემონსტრაცია, რისთვისაც ცრემლსადენი გაზი და გრანატები გამოიყენა. 11 ჩრდილოეთკორეელი დაიჭრა, ერთი მათგანი — სერიოზულად.

მთავრობის კრიზისი ინდონეზიაში

ჯაკარტა, 7 ივლისი. (საკდესი). 6 ივლისს საღამოს ეროვნული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა მუკარტომ ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტს სუკარნოს დაუბრუნა პრეზიდენტისაგან მიღებული მანდატი „ეროვნული საქმიანი კაბინეტის“ ჩამოსაყალიბებლად.

პრეზიდენტისათვის მანდატის დაბრუნების შემდეგ მუკარტომ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მან ვერ მოახერხა მთავრობის ჩამოყალიბება, რადგან შეუძლებელია ძირითად პრინციპულ საკითხებზე შეთანხმება პარტია მაშუმისთან (რეაქციული პარტია — რედ.). პარტია მაშუმი ყოველნაირად უწევდა საბოტაჟს მუკარტოს ღონისძიებებს — ჩამოეყალიბებინა მთავრობა, წინასწარ აყენებდა ინდონეზიის ეროვნული პარტიისათვის მიუღებელ პირობებს და ცდილობდა გაეჭიანურებინა დრო იმ ვარაუდით, რომ მუკარტოს მარცხის შემდეგ იგი მიიღებდა მთავრობის ჩამოყალიბების უფლებას.

ეროვნულმა პარტიამ გამოაქვეყნა განცხადება, რომლითაც ხსნის მუკარტოს მარცხის მიზეზებს და აღნიშნავს, რომ ყველა პარტია, მაშუმის გარდა, დაეთანხმა მუკარტოს მიერ შედგენილ პროგრამას, რომლის მიზანია ყველა იმ გადაუჭრელი პრობლემის მოწესრიგება, რომლებმაც ვილოპოს მთავრობის დამხობა გამოიწვიეს.

საბჭოთა კალათბურთელების ახალი გამარჯვება

ბრიუსელი, 7 ივლისი. (საკდესი). ბრიუსელის გაზეთი „სპორი“ იუწყება, რომ 6 ივლისს გაიმართა შეხვედრა საბჭოთა კალათბურთელებსა და ბელგიის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს — „შავ ეშმაკებს“ შორის, რომელიც ამ შეხვედრისათვის გაძლიერებული იყო ბელგიის ნაკრები გუნდის საუკეთესო მოთამაშეებით.

საბჭოთა კალათბურთელებმა შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 77:43.

ლი სინ მანი ახალ პროვოკაციებს ამზადებს

პეკინი, 7 ივლისი. (საკდესი). სინხუას საგენტოს სპეციალურმა კორესპონდენტმა გუშინ კესონდიდან გადმოსცა:

ორ კვირეულ ვადაზე მას შემდეგ, რაც შეწყდა ძოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ, მსოფლიო თვალყურს ადევნებს იმას, თუ რა ნაბიჯს გადადგამს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა იმ სერიოზულ მდგომარეობასთან დაკავშირებით, რომელიც შეიქმნა ლი სინ მანის მთავრობისადმი ხელშეწყობის პოლიტიკის შედეგად. დღეს რობერტსონი (ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი — **რედ.**) მეათეჯერ ეთათბირა ლი სინ მანს. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა აცხადებს, რომ იგი ცდილობს დროებითს ზავზე დაიყოლიოს ლი სინ მანი. მაგრამ სინამდვილეში ლი სინ მანს სულ უფრო აქეზებენ ჩაფუშოს დაზავების საქმე.

აღნიშნავს რა, რომ ლი სინ მანის მიერ 25 ათასზე მეტი კორეელი სამხედრო ტყვის გამოყვანა პანაკეებიდან და მათი შეყვანა სამხრეთ კორეის არმიაში მოხდა ამერიკის სარდლობის აშკარა ხელშეწყობით, კორესპონდენტი შემდეგ წერს:

ამერიკელების ასეთ დამოკიდებულებას აშკარად მოაჩვენა ის, რომ ლი სინ მანმა კიდევ უფრო გაბედულად იწყო მოქმედება, რადგან ამის შემდეგ იგი უფრო ხმამაღლა გაჰყვირის, რომ არ დათანხმდება დროებითს ზავზე, თუ ამერიკელები არ აღუთქვამენ დადონ მასთან ეგრეთწოდებული „ურთიერთთავდაცვის პაქტი“ და სამი თვის ვადით შეზღუდონ პოლიტიკური კონფერენცია. ამერიკელები არ შეუშფოთებია ლი სინ მანის უკუნტურ მოქმედებას, და იმის ნაცვლად, რომ გამოიყენონ თავიანთი კონტროლი მის დასაწყნარებლად, მათ ლი სინ მანთან ერთად კორეაში დაზავების გზაზე ჩადეს კიდევ ერთი დაყოვნებული მოქმედების ბომბი.

კორეაში ყოფნის მესამე დღეს რობერტსონი დათანხმდა ლი სინ მანთან სამხედრო კავშირის დადებაზე. რამდენადაც ამ სამხედრო კავშირის დადება უნდა დამტკიცოს ამერიკის სენატმა, რასაც განსაზღვრული დრო დასჭირდება, რობერტსონმა, რათა დაეკმაყოფილებინა ლი სინ მანი, აღუთქვა დადოს მასთან დროებითი შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს გარკვეულ სამხედრო გარანტიებს ოფიციალური სამხედრო კავშირის დადებამდე.

მაშინ ლი სინ მანმა დაეინებით მოითხოვა, რომ შეერთებულმა შტატებმა მასთან ერთად განაახლონ ომი. თუ პოლიტიკურმა კონფერენციამ სამი თვის განმავლობაში ვერ გამონახა ლი სინ მანისათვის დამაკმაყოფილებელი გზები კორეის გასაერთიანებლად.

თუმცა ამერიკელებმა განაცხადეს, რომ არა სურთ დაეთანხმონ ამას, სეულიდან მიღებულ ცნობებში ნათქვამი იყო, რომ რობერტსონი შეუდგა ომის განახლების საკითხის განხილვას.

როგორც იუნაიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი 5 ივლისს სეულიდან იუწყებოდა, რობერტსონმა წამოაყენა „ორი პუნქტისაგან შემდგარი კომპრომისული გეგმა“, რომელიც ითვალისწინებს, რომ:

1. შეერთებული შტატები დათანხმდებიან სამხრეთ კორეასთან ერთად დატოვონ პოლიტიკური კონფერენცია, რომელიც მოწვეული იქნება დაზავების შემდეგ, თუ 90 დღის შემდეგ ამ კონფერენციამ ვერაფითარ პროგრესს ვერ მიაღწია კორეის მშვიდობიანი გაერთიანების საკითხში.

2. ამ დატოვების შემდეგ შეერთებული შტატები დიპლომატიურ სფეროებში „განახილავენ“ კომუნისტების წინააღმდეგ ომის განახლების საკითხს.

არსებული ცნობებით, ამერიკელებმა ეს „კომპრომისული გეგმა“ დაახასიათეს როგორც საკითხის კარგი გადაჭრა. მაგრამ მხოლოდ ყველაზე ბეცმა ადამიანებმა შეიძლება ვერ დაინახონ, რომ ეს არის წაქეზება ლი სინ მანის დანაშაულებრივი მოქმედებისა, რომლის მიზანია დაზავების საქმის ჩაფუშვა.

სავსებით ცხადია, რომ შეერთებული შტატები ცდილობენ გამოიყენონ პოლიტიკური კონფერენცია მხოლოდ და მხოლოდ როგორც თავიანთი მიზნების მიღწევის საშუალება, რომლებსაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ დაზავებასთან, და არა როგორც ადგილი, სადაც დაინტერესებულმა მხარეებმა უნდა გადაჭრან საკითხები მოლაპარაკების გზით. რობერტსონის გეგმის ეს პუნქტი ფაქტიურად წარმოადგენს ცდას, რომ პოლიტიკური კონფერენციის მომავალი ცალმხრივად გადაწყვიტონ შეერთებულმა შტატებმა და ლი სინ მანმა, აიძულონ დაინტერესებული მხარეები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ პოლიტიკურ კონფერენციაში, გაჰყვნენ შეერთებული შტატებისა და ლი სინ მანის კურსს. ეს არის ცდა — წინასწარ განუმზადონ ჩაფუშვა პოლიტიკურ კონფერენციას.

რამდენადაც შეერთებული შტატები და ლი სინ მანი წინასწარ უმზადებენ ჩაფუშვას პოლიტიკურ კონფერენციას, იმდენად პუნქტს — ამერიკის შეერთებული შტატების თანხმობას განიხილოს ლი სინ მანთან ერთად ომის განახლების საკითხი — სავსებით ცხადია კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება. შეერთებული შტატები მზად არიან გაჰყვნენ ლი სინ მანს — სამხედრო ტყვეთა „განთავისუფლებიდან“ — სამხედრო კავშირამდე, სამხედრო კავშირიდან — პოლიტიკური კონფერენციის დატოვებამდე, ხოლო პოლიტიკური კონფერენციის დატოვების შემდეგ — ლი სინ მანთან ერთად ომის განახლების საკითხის განხილვამდე. განა ეს ცხადად არ მოწმობს, რომ დაზავების განხორციელებამდეც კი შეერთებულ შტატებსა და ლი სინ მანს უკვე განზრახული აქვთ ომის განახლება?

ეგრეთწოდებული „განხილვა“ და აუცილებელი „მოწონება შეერთებული შტატების სენატის მიერ“, რაც გათვალისწინებულია რობერტსონის გეგმით, არის მხოლოდ შირმა, რათა ამ საკითხს ჩამოაშორონ მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ტრუმენს არ მიუღია ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის „მოწონება“, როცა სამი წლის წინათ გაგზავნა კორეაში თავისი ინტერვენციონისტული ჯარები. ორი პუნქტისაგან შემდგარი ეს გეგმა სინამდვილეში შეიცავს კორეაში დაზავების ჩაფუშვის საფრთხეს.

პეკინი, 7 ივლისი. (საკდესი). სინხუას საგენტოს სპეციალურმა კორესპონდენტმა გუშინ კესონდიდან გადმოსცა:

სახავენ კორეაში დაზავების ჩაფუშვის ახალ გეგმას. კორეაში ამერიკის მე-8 არმიის სარდალმა მაქსუელ ტეილორმა გუშინ განაცხადა, რომ თუ სამხრეთი კორეა მიიღებს გადაწყვეტილებას „მარტოდ მარტომ განაგრძოს ომი“, მას შეუძლია გამოიყვანოს ამერიკის ჯარები ფრონტიდან და შეცვალოს ისინი ლი სინ მანის მარიონეტული არმიით. დღეს მან მოიწვია თავისი კორპუსების ყველა სარდალთა თათბირი, და, როგორც იუწყებიან, ეს თათბირი დაკავშირებულია იმ გეგმასთან, რომ ამერიკის ჯარები ლისინმანელთა მარიონეტული ჯარებით შეიცვალოს, თუ ხელი მოაწერეს დროებით ზავს.

ამავე დროს ინტერნეიშნლ ნიუს სერვისის საგენტოს კორესპონდენტმა ტოკიოდან გადმოსცა ცნობა, რომ, როგორც კლარკის გეგმიდან ჩანს, მოსალოდნელია, რომ ლი სინ მანი უარს იტყვის დაიცვას დროებითი ზავის პირობები და არ მისცემს ნებას, რომ მისი არმია ორ კილომეტრზე დასწიონ უკან ფრონტის ახლანდელი ხაზის სამხრეთით, მაგრამ, რამდენადაც ლისინმანელთა მარიონეტული არმია „ფრიად ძვირფასი მანქანაა ანტიკომუნიზმის მხარეზე, შეერთებულ შტატებს ამჟამად განზრახული არა აქვთ წაართვან სამხრეთ კორეის არმიას იარაღი და საჭურველი“, თუნდაც მარიონეტული არმია აღარ ექვემდებარებოდეს კლარკის სარდლობას, ე. ი. უარი თქვას დროებითი ზავის პირობების შესრულებაზე და სამხედრო სადემარკაციო ხაზიდან სამხრეთით დაწევაზე. ომის მოტრფიალე ამერიკელმა სენატორმა ნოულენდმაც განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ლი სინ მანი გადაწყვეტს „მარტოდმარტომ განაგრძოს ომი“, მისი აზრით შეერთებულმა შტატებმა მაინც არ უნდა შეუწყვიტონ ლი სინ მანს დახმარება საჭურველითა და მასალებით.

აქ მეთვალყურენი აღნიშნავენ, რომ ეს გეგმა სერიოზული ყურადღების ღირსია ახლა, როცა ამერიკელები აცხადებენ, რომ ისინი ყურადღებას არ მიაქცევენ ლი სინ მანს და ხელს მოაწერენ დროებითს ზავს. მაშინ როცა ლისინმანელთა არმია იმოქმედებს, შეერთებული შტატები კვლავ მოამარაგებენ მას იარაღით და საჭურველით, რათა გაუადვილონ ომის განგრძობა. ეს არის ლი სინ მანის აშკარა წაქეზება — ჩაფუშოს დროებითი ზავი და განაგრძოს ომი.

სსრ კავშირის თასის გათამაშება კალათბურთში

7 ივლისი. მოსკოვიდან ტელეფონით გვაცნობეს: ფინალურ ასპარეზობას კალათბურთში სსრ კავშირის თასზე დიდძალი მაყურებელი დაესწრო.

დასკვნითს შეჯიბრებაში ქალთა გუნდებს შორის ერთმანეთს შეხვდნენ დედაქალაქის „დინამოსა“ და „სტროიტელის“ გუნდები. დინამოელებმა მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარეს ეს პასუხსაგები შეჯიბრება და გაიმარჯვეს ანგარიშით 53:34.

საერთო ინტერესს იწვევდა კაუნასის „ჟალგირისისა“ და თბილისის „დინამოს“ ვაჟთა გუნდების შეჯიბრება. თამაშის პირველი ნახევარი დამთავრდა კაუნასელთა სასარგებლოდ 23:19. მეორე ტაიმში მოედანზე დარჩა თბილისელთა ოთხი მოთამაშე. გაიმარჯვა კაუნასის „ჟალგირისის“ გუნდმა ანგარიშით 55:41.

ამრიგად, სსრ კავშირის 1953 წლის თასის გათამაშებაში გაიმარჯვეს მოსკოვის „დინამოს“ ქალთა და კაუნასის „ჟალგირისის“ კალათბურთელ ვაჟთა გუნდებმა. გამარჯვებულებს საზეიმოდ გადაეცათ გარდამავალი ჯილდოები — თასები.

სპორტის ქრონიკა

◎ თბილისში დამთავრდა მოზარდ ფეხბურთელთა კოლექტივების რესპუბლიკური შეჯიბრება. მონაწილეობა მიიღეს თბილისის, აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის (კონკურსგარეშე), ქუთაისისა და ფოთის გუნდებმა. ასპარეზობაში გაიმარჯვა აჭარის მოზარდ ფეხბურთელთა კოლექტივმა, რომლის მწვრთნელია სპორტის ოსტატი ბ. ფროლოვი. მეორე ადგილზე გამოვიდა თბილისის გუნდი, მესამეზე — აფხაზეთის ფეხბურთელთა კოლექტივი. შედგენილია საქართველოს მოზარდ ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საკავშირო შეჯიბრებაში.

სასამართლოს დარბაზიდან

გაუსწორებელი ქურდი

გაჩერებაზე ტროლეიბუსში „შესასვლელად“ პირველი მოვიდა ვინმე ლ. მნაცაკანოვი. იგი ტროლეიბუსის კართან გაჩერდა და შემსვლელთ ხელს უწვდიდა, კიბის საფეხურზე ასვლაში „ეხმარებოდა“ მათ. და აი ამ „დახმარების“ დროს მან მოჭალაქე სარა პაპაშვილს მაჯიდან ძვირფასი საათი შემოხსნა, ტროლეიბუსი მყისვე დატოვა და მიმალვა სცადა. მაგრამ იგი იქვე შეიპყრეს.

ლ. მნაცაკანოვის საქმე გაარჩია თბილისის კიროვის რაიონის მეორე უბნის სახალხო სასამართლომ გ. იოსავას თავმჯდომარეობით. ბრალდებას მხარს უჭერდა რაიონის პროკურორის თანაშემწე ამხ. ე. არობელიძე.

წინასწარი და სამსჯავრო გამოძიებით დადასტურდა, რომ ლ. მნაცაკანოვი საზოგადოებრივ-სახარგებლო შრომის ნაცვლად სისტემატურად ეწეოდა ქურდობას, ჩადიოდა სხვა სახის დანაშაულსაც. ამისათვის მას მრავალი ნახამართლობა აქვს. უკანასკნელი პატიმრობიდან გამთავისუფლების შემდეგ მან ერთ-ერთ მგზავრს საფულე გაუხსნა, ფული ამოაცალა, ნაქურდალი კი თვალსაზრისამებრ ბაზის ამხანაგს გადასცა, რითაც ბოროტმოქმედების კვალი დაფარა და ბრალდებისაგან თავი დაიძვრინა.

სახალხო სასამართლომ, როგორც რამდენჯერმე სასამართლეს და გამოუსწორებელ ქურდს, ლეონ გარეგინის-ძე მნაცაკანოვს შეუფარდა ქურდობისათვის გათვალისწინებული სასჯელის მაქსიმალური ზომა და მიუსაჯა მას 6 წლის პატიმრობა შრომა-გასწორების ბანაკში, სასჯელის მოხდის შემდეგ სამი წლის ვადით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა.

გ. ხენგასვა.

თბილისი



თბილისი. მეოთხე რესპუბლიკური გამოფენა „ნორჩ ტექნიკოსთა დახმარება სკოლებს“. **სურათზე:** მოძრავი მოდელების განყოფილებაში.

ფოტო ვ. ზარიძისა.

ნორჩ ტექნიკოსთა ნამუშევრები

ბევრი საინტერესო, შინაარსიანი და ლამაზი ექსპონატია წარმოდგენილი მოსწავლეთა ნამუშევრების მეოთხე რესპუბლიკური კონკურსის შემაჯამებელ გამოფენაზე — „ნორჩ ტექნიკოსთა დახმარება სკოლას“, როელიც მოაწყეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა თბილისში (ვაჟთა მე-12 სკოლის შენობაში).

გამოფენაზე წარმოდგენილია რესპუბლიკის თითქმის ყველა ქალაქისა და რაიონის მოსწავლეთა მიერ დამზადებული თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღები ფიზიკაში, ქიმიაში და მეცნიერების სხვა დარგებში, აგრეთვე მანქანებისა და მექანიზმების მრავალი მოქმედი მოდელი.

ექსპონატებს შორის ყურადღებას იპყრობს ბათუმის ვაჟთა მეხუთე სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე რ. ცუხიშვილის მიერ გაკეთებული გემ „უშაკოვის“ მოდელი, წნორის საშუალო სკოლის ფიზიკის წრის წევრების ნამუშევარი — რკინიგზის მოქმედი მოდელი. კარგად არის შესრულებული თბილისის ქალთა მე-14 სკოლის მოსწავლეების მიერ ელექტროფიცირებული მაკეტი — „კომუნიზმის დიდი მშენებლობანი“. ფოთის ვაჟთა საშუალო სკოლის ფიზიკის წრის წევრებმა დამზადეს ქარის სადგურის მოდელი. ერთ-ერთ განყოფილებაში — „ფიზიკის მოყვარულნი“ მდიდრად არის წარმოდგენილი ბათუმის, თბილისის, ხაშურის სკოლების მოსწავლეთა მიერ გაკეთებული რადიომიღებები, სხვადასხვა ფიზიკური ხელსაწყოები.

საინტერესოა „ხელმარჯვეთა წრის“ ნამუშევრები, ძალ შორის აღსანიშნავია დუშეთის პიონერთა სახლის მესამე და მეოთხე კლასის მოსწავლეების მიერ შესრულებული „ფითილქუდა“ და „დილა“. კარგი ექსპონატებია „ცოცხალ კუთხეში“, პიეზაჟების, მხატვრული სურათების განყოფილებებში.

გამოფენას ყოველდღე დიდძალი ხალხი ათვალიერებს.

ლ. ხუბულური.

ქალაქის ექსკურსიები

მელპომენეს-სასცენიერო თეატრის მასპრობლები

პირველი დღე

გუშინ, 8 ივლისს, ს. ორჯონიკიძის სახელობის თელავის სახელმწიფო თეატრმა კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის შენობაში აჩვენა თბილისის მაყურებელს ვ. დარასელის პიესა „კიკვიძე“. დადგმა ეკუთვნის თეატრის მთავარ რეჟისორ მ. მეძმარიაშვილს, მხატვარი ი. პეტრიაშვილი, მუსიკა ეკუთვნის ვ. კურტიდის.

მთავარ როლებში გამოვიდნენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი პ. ახვლედიანი (კიკვიძე), მსახიობები: გ. კევლიშვილი (მედოვსკი), ს. მანანაშვილი (ხომენკო), ვ. მარკოზაშვილი (ტიტიკო), ვ. ჩელთისპირელი (მინაი დუდნიკოვი), ბ. მარტაშვილი (შილინი), ყ. თარხნიშვილი (სიტნიკოვი) და სხვები.

სპექტაკლი მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

თბილისის ოპერის თეატრში

ივლისში თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერის და ბალეტის თეატრს საგასტროლოდ მოწვეული ჰყავს სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტები.

უკვე ჩამოსული არიან და მონაწილეობას იღებენ ოპერის სპექტაკლებში სტალინური პრემიის ლაურეატი ვ. ივანოვსკი (ლირიკულ-დრამატული ტენორი) და რსფსრ დამსახურებული არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ი. პეტროვი (ბანი). ახლო მომავალში რსფსრ და სომხეთის სსრ სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი პ. ლისიციანი გამოვა ოპერებში „ტრავიატა“, „კარმენი“, „აიდა“.

სსრ კავშირის დიდი თეატრის მთავარი რეჟისორი, სტალინური პრემიის ლაურეატი ბ. პოკროვსკი და დიდი თეატრის მხატვარი ტ. სტარჟენეცკაია შეუდგნენ მუშაობას ჩვენს თეატრში ოპერა „ევგენი ონეგინის“ დასადგმელად. სპექტაკლის ჩვენება განზრახულია სეზონის დასაწყისამდე.

ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალში

ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექციას დამთვალიერებელთა უკეთ მომსახურების მიზნით მუზეუმის გამოსასვლელი დღე ორშაბათიდან გადააქვს სამშაბათისათვის.

მუზეუმი დამთვალიერებლებისათვის ღიაა: ორშაბათს, ხუთშაბათსა და პარასკევს — დღის 12 საათიდან საღამოს 10 საათამდე. ოთხშაბათს, შაბათსა და კვირას — დილის 9 ს. 30 წუთიდან საღამოს 6 საათამდე.

წინასწარი ჩაწერა წარმოებს ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის საექსკურსიო ბიუროს მეშვეობით (ტელეფონი № 3-14-84, კომუტატორი № 3-05-60).

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დანიშნა:

ამხ. შ. ა. ლებანიძე საქართველოს სსრ საგზაო და სატრანსპორტო მეურნეობის მინისტრის პირველ მოადგილედ.

ამხ. ნ. ი. მელიქიშვილი საქართველოს სსრ საგზაო და სატრანსპორტო მეურნეობის მინისტრის მოადგილედ.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

სსრ კავშირის მეტალურგიული მრეწველობის სამინისტროს თბილისის მეტალურგიული ტექნიკუმი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1953-1954 სასწავლო წლისათვის ქართული და რუსული სექტორების I კურსზე — მეტალურგიული განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: 1. ფოლადის წარმოება, 2. გლინვა, 3. სამსხმელო წარმოება.

სამთო განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: 1. სამთო ელექტრომექანიკა, 2. მადნეულ ბუდობთა დამუშავება. სწავლა ყველა სპეციალობაზე 4 წელია.

I კურსზე მიიღებიან ორივე სქესის პირები 14-დან 30 წლამდე ასაკისა, რომლებსაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო სკოლა და რომლებიც გამოცდებს ჩაბარებენ შემდეგ საგნებში: ქართული ენაში (წერა და ზეპირი), რუსულ ენაში — ქართული სექტორისათვის (წერა და ზეპირი), მათემატიკაში (არითმეტიკა, ალგებრა და გეომეტრია — წერა და ზეპირი), სსრ კავშირის კონსტიტუციაში (ზეპირი).

მასალები გამოცდები დაიწყება 1953 წლის 1 აგვისტოს. ის პირები, რომლებსაც 1952 და 1953 წლებში არასრული საშუალო სკოლა დამთავრებული აქვთ ფრიადზე, I კურსზე ჩაირიცხებიან უგამოცდოდ.

ტექნიკუმის მოსწავლეები სასწავლო წლის დაწყებიდანვე იღებენ სტიპენდიას: I კურსზე — 285 მან., II კურსზე — 315 მანეთს, III კურსზე — 360 მანეთს და IV კურსზე — 390 მანეთს. სწავლის ფრიადოსნებს სტიპენდია ემატებათ 25%-ით.

ტექნიკუმში ჩარიცხული ყველა მოსწავლე თავისუფლდება საწარმოებსა და დაწესებულებებში მუშაობისაგან.

საცხოვრებელი ფართობის უქონლობის შემთხვევაში ტექნიკუმის მოსწავლეებს ეძლევათ ბინა საერთო საცხოვრებელში, ან ეძლევათ ნაწილობრივი ღირებულება კერძო ბინებში ცხოვრებისათვის.

ტექნიკუმში შემსვლელმა უნდა შეიტანოს განცხადება ტექნიკუმის დირექტორის სახელზე. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: ატესტატი (ან მოწმობა) არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შესახებ (დედანი), დაბადების მოწმობა (დედანი), ავტობიოგრაფია (საკუთარი ხელით დაწერილი), ჯანმრთელობის მოწმობა, სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების მოწმობა, ოთხი ფოტოსურათი ზომით 3×5 სმ.

განცხადებები მიიღება 1953 წლის 30 ივლისამდე. განცხადებების მიღება და ცნობების გაცემა წარმოებს ყოველდღე (გარდა კვირა დღეებისა) დილის 9 საათიდან საღამოს 6 საათამდე ტექნიკუმის შენობაში, ლენინის ქ. № 67 (თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის შენობის პირდაპირ).

რაიონებიდან განცხადება და საბუთები უნდა გამოგზავნოს ფასიანი პაკეტით ტექნიკუმის მისამართით.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

9 ივლისს	(ი. პეტროვის მონაწილეობით) ვ. ჩაიკოვსკის **I-იოლანტა** **II-საკოლეტერტო** **განყოფილება**
10 ივლისს	(ვ. ივანოვსკის მონაწილეობით) ჟ. ბიზე — **კარმენი**

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახალხო მეურნეობის დაგეგმვის კათედრა იუწყება დოცენტ გიორგი (გია) სამსონის-ძე გამყრელიძის გარდაცვალებას.

დედა ვარდო, ძმები ირაკლი, აპოლონ, რძლები თინა, თამარ ძაგნიძეები შვილებით იუწყებიან ბორის ნოეს-ძე ძაგნიძის გარდაცვალებას.

მეუღლე ელენე, შვილები ფარვიზ, მეგი, რამაზ ძაგნიძეები იუწყებიან ბორის ნოეს-ძე ძაგნიძის გარდაცვალებას. **დაკრძალვა 12-VII, წყალტუბოში.**

მე-14 პოლიკლინიკის თანამშრომლები იუწყებიან სოფიო ტიმოთეს ასულ სენოფენსკაიას გარდაცვალებას.

ივანე და ნიკოლოზ ყიფშიძეები იუწყებიან ბიძაშვილის ილია ყიფშიძის გარდაცვალებას.

დედა ელისაბედ, და ნატალია, ძმები გოგი, ზაალ, რძლები თინა, ციცინო გუგუშვილები შვილებით, სიძეები ა. ფილია, ო. ხელაია, ო. კემულარია იუწყებიან ეკატერინე ალექსანდრეს ასულ გუგუშვილის გარდაცვალებას. **დაკრძალვა 12-VII, ქ. ფოთში, გამოსვენება ლენინის ქ. № 42.**

**დედა ნატალია, და ელენე, ძმა ნიკოლოზ, რძალი ლიდა, დისწულ